რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 22 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორ-ჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—60 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 66 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 66

ღრმად დამწუხრებული სოფიო ესტატეს ასული ბედიანიძისა, მარიამ სტეფანეს ასული, ოლღა და თამარ ესტატეს ასულნი ყორადღიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის დაუვიწყარ მეუღლის, ხოლო დანარჩენთა ძვირფასი სიძის

**ისაკ ზაალის ძის ბედიანიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე მიცვალებულის ბინაზე (ფომინის შესახვევი № 5). დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 22 მარტს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. წირვა და პანაშვიდი ანჩისხატის ტაძარში. (2—2)

საგანგებო რაზმი თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა აუწყებს ამხანაგებს, მეგობრებს, ნათესავებს და ნაცნობთ, რომ მძიმე ჭრილობის მიღების შემდეგ 19 მარტს, გარდაიცვალა საუკეთესო ამხანაგი

**ვარლამ ხარლამის ძე ჭანტურიშვილი,**

რომლის წასვენება თფილისიდან ს. ?აცანაში (გურია) მოხდება 21 მარტს. (1—1)

უბედური მამა ანტონ, შვილები: შუშანიკა, ქეთო, ბიძინა, ეფემია, სოფიო, თამარა; აღმზრდელი მასწავლებელი მღვდელი ნესტორ; ბიძები: სიმონ და მიხეილი, მამიდა ელენე, ძმისწული ილუშა, ბიძაშვილი მიტროფანე კონტრიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარ ჭაბუკის

**პეტრე კონტრიძის**

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება 22 მარტს ლიხაურის (გურია) ეკლესიის გალავანში. (1—1)

ლანუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი მეუღლე გიორგი სოფრომის ძე და შვილი ამირან კალანდაძეები, მამამთილი სოფრომ პაატას ძე და დედამთილი თეკლე, მაზლები ეკე, ისიდორე და მული მარუსია კალანდაძეები, სიძე სიმონ კვინიხიძე მეუღლე პელაგიათი, ნათლისმამა კირილე დიანოსის ძე კალანდაძე, ბიძა ნიკო მაქსიმელის ძე სალუქვაძე ვაუწყებთ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 23 მარტს დღ. 12 საათზე ხიდისთავის (გურია) ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ გარდაცვალებულის

**პაპია (იგივე კატო) სიმონის ასული კალანდაძის**

სულის მოსახსენებლად. (1—1)

## სახლის კომიტეტების კრება

პარასკევს 23 მარტს, დღის 5 საათზე ნაძალადევის თეატრში დანიშნულია 10, 11 და 12 სამღ. უბნის სახლის, ბინის და რაიონულ კომიტ. წარმომადგენელთა

**საერთო კრება.**

განსახილველია საკითხი პურზე ფასის მომატების შესახებ, ქალაქში სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ქალაქის გამგეობის წევრი დ. მ. პოპოვი. აუცილებელია ყველა წარმომადგენლების დასწრება, რადგან გასარჩევია მეტად საყურადღებო საკითხი.

(2—1) ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

## ქართული თეატრის აღორძინება

ქართული დრამატიული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლ.—30 წლ.) გამოცხადდნენ ჩასაწერათ სრულიად ახალ დასის შესადგენათ.

ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მომზადებული მსახიობებით გამართავს წარმოდგენებს ჯერ თფილისის სახაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიათ უფასოთ შეისწავლიან: **დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რიტმს დალკროზის სისტემით, ფარიკაობას, გრიმს. ხმის დაყენებას და ვისაც სასიმღერო ხმა აღმოაჩნდება სიმღერას.** თუ რომელსამე მომავალ მსახიობს აღმოაჩნდება მუსიკის ნიჭი, შეისწავლის დაკვრას იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში, რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპ. № 11.

ჩაწერა დაიწყება 21 მარტს და გაგრძელდება მხოლოთ ორი კვირა, ე. ი. 5 აპრილამდის.

კანტორა ღიაა დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4—6 საათამდე.

თფილისის გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ წერილობით გვაცნობონ ამ მისამართით.

(5—2) ქართული დრამ. საზ. გამგეობა.

## დამზადებული ფეხსაცმელები და საძირე ტყავი სახლის კომიტეტებს.

ქალაქის გამგეობასთან არსებული სასურსათო განყოფილება წინადადებას აძლევს **რაიონულ კომიტეტებს** და სახლის დიდ ორგანიზაციებს, რაც შეიძლება დაჩქარებით გამოარკვიონ თუ რამდენი დამზადებული ფეხსაცმელები და საძირე ტყავი არის მათთვის საჭირო და აცნობონ ამის შესახებ ტყავის ბიუროს (ბებუთოვის და რტიშჩევის ქუჩების კუთხე). ამასთანავე საჭიროა დაუყონებლივ წარადგინონ დასახელებულ ბიუროში განსაზღვრული თანხა ტყავის შესაძენათ.

(3—3) თფილისის ქალ. გამგეობის სასურსათო განყოფილება.

გამოვიდა და იყიდება ობოლი მუშის წიგნი

**„მოგზაური"**

(ლექსები და პოემები)

გამოცემა უშანგი ელიავასი. ფასი 4 მანეთი. წიგნის გავრცელების საქმე მინდობილი აქვს კანტორა „განათლებას" (ოლღას ქუჩა). ვინაიდან წიგნი ერთობ ძვირი დაჯდა, აგენტებს პროცენტები ცოტა ეთმობა. წიგნები ნისიათ არავის გაეგზავნება. (10—1)

ექიმი ქალი

**რ. ბ. შიშლო-საბაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე **შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

## ბოლშევიკების მოღალატეობა

საზავო ხელშეკრულობით ბრესტ ლიტოვსკში, ბოლშევიკებმა თავს იდვეს ამიერ-კავკასიის დასახიჩრება, მისი ყველა ციხე-სიმაგრეების ოსმალეთისთვის გადაცემა. ხელშეკრულებაში არ სწერია, რომ ბათუმის და ყარსის ოლქი, პირდაპირ ეძლევა ოსმალებს. მაგრამ რუსეთი სამაგიეროთ ვალდებულებას იღებს დასცალოს იგინი თავის ჯარისაგან და ხელი შეუწყოს ოსმალეთს მისი ანატოლიის საზღვრების აღდგენაში. აი ამ უკანასკნელი ხელშეკრულების განსახორციელებლად, ოსმალთა ფაშების გულის მოსაგებათ, იგინი დღეს ენერგიულად აწარმოებენ ბრძოლას ამიერ-კავკასიის სეიმის და მთავრობის წინააღმდეგ, რომ ამით შეასუსტონ, ან სრულიად დასცენ ამიერ-კავკასიის დემოკრატია და იგი ოსმალეთის შინა ყმათ აქციონ. ისინი ამნაირათ ანადგებენ ბრესტის ხელშეკრულებას შინაური, ადგილობრივი ბოლშევიკების ერთი ნაწილი მაინც, რომელთაც დახშული აქვთ გრძნობა დემოკრატიის სიყვარულის და ახსოვთ მხოლოდ თავის ფრაქციული ქინიანობა, აშკარათ გამოდის მობილიზაციის წინააღმდეგ, ადგენს, რომ ყარსი, ბათუმი და არტაანი დაუყონებლივ გადაეცეს ოსმალეთს, რომ ჩვენ უფლება არ გვაქვს თათრის ფაშებს წინააღმდეგობა გავუწიოთ ამ ადგილების დაპყრობაში და სხვ.

ისეთ თავხედობამდეც კი მიდიან ეს ვაჟბატონები, რომ ჩვენ მისწრაფებას თავის საზღვრების დაცვისადმი—იმპერიალიზმს უწოდებენ, ხოლო ფაშებს ამით კარებს უღებენ თავის ფეოდალური მუხრუჭის შემოსატანათ ჩვენ მხარეში.

მასსა, ის მცირე მასსა, რომელიც აქამდე გაბრუებული იყო მათი ლოზუნგებით, ახლა მათ თანდათან შორდება და იგნებს, რომ ბოლშევიზმი დაღუპვისკენ მიაქანებდა მას. ხალხი თვით აძევებს მათ ალაგმვას ყველგან, სადაც კი მათ გამოსვლებს ადგილი ქონდა.

მაგრამ ბოლშევიზმის ზოგიერთი მოძღვრები მაინც არ ცხრებიან და ეს ვითომდა პროლეტარიატის პარტია, მთიულებში, ოსებში და ჯარისკაცებში, ნამყოფ გლეხებში ეძებს თავის მიმდევრებს. მათი მოხრობით, მოტყუებით, საძარცვავათ გამოწვევით ცდილობს ხან აქ, ხან იქ შექმნას ამბოხება, არევ-დარევა, რომ ამით ხელი შეუწყოს ჩვენს მტრებს და ხელი შეუშალოს მთავრობას საზღვრების დაცვის საქმეში.

როცა ასეთ ამბოხებას აჭარის ან ახალციხის შეუგნებელ ფანატიკურ მასსაში აწყობენ ოსმალეთის აგენტები, ჩვენ ვამბობთ, ეს მოღალატეობა, ეს გამცემლობაა, მაგრამ ამ მოღალატეებს ერთი საბუთი მაინც აქვთ: მათი სარწმუნოებრივი ფანატიზმი, რომელიც მათ ოსმალეთს უახლოვებს, მათი განუვითარებლობა, შეუგნებლობა, რომელიც მათ იოლათ მოსატყუებელ ბრბოთ და ოსმალეთის აგენტების სათამაშო ბურთათ ხდის. მარა რა გასამართლებელი საბუთი აქვთ იმ ბოლშევიკებს, ან „მემარცხენე" ესერებს, რომელნიც ასეთსავე საქმეს ჩადიან მტრის შემოსევის ჟამს?

ხშირათ თვითგამორკვევას იმოწმებენ. უგუნურნი! განა ხიშტის ქვეშ შეიძლება თვითგამორკვევა? განა თვითგამორკვევა უნდა მოხდეს ომის შედეგათ, ან ოსმალეთის ბრძანებით! განა ოსმალეთს შეუძლია მისცეს ვისმეს თვითგამორკვევა? თუ შეუძლია რათ არ აძლევს ასურეთს, არაბეთს, სომხეთს და სხვებს? ნუ თუ იგი ამას მისცემს ბათუმს და ყარს, თუ იგინი იარაღით დაიპყრო?

ცხადია ერთა თავისუფლებას ადგილი არ ექნება ოსმალეთში.

მარა ერთა თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნება ამიერ-კავკასიის საზღვრებში. ამიერ-კავკასიის ერები თვითეული ცალკე იმდენათ ძლიერი არ არის, რომ სხვისი დამორჩილება შესძლოს. არც იმდენათ სუსტნი არიან, რომ დანარჩენების ყმათ იქცენ. უკვე ეს ძალთა განწყობილება უზრუნველყოფს მათის თავისუფალ განვითარებას. ერთა თანასწორობის პრინციპი ერთათ ერთი პრინციპია, რომელზედაც შეიძლება დაეყრდნოს ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი შენობა. იგი უნდა იქნეს თავისუფალი კავშირი ერთა, როგორც შვეიცარია. და კავკასიის დემოკრატია, კავკასიის რევოლიუციური ელემენტები სხვა გზას ვერც თავის პრინციპების მიხედვით დაადგებიან. აქ დემოკრატიის სამშობლოა, აქ ერთა თვითგამორკვევა—მთავარი ძარღვია შეთანხმებულ, ძმური ცხოვრების.

მხოლოდ დაბრმავებულს არ შეუძლია ამის დანახვა, მხოლოდ იმათ, ვინც ცხინვალში, ან ბაქოში ანთებს ბრძოლის ცეცხლს და ამით ზურგიდან სცემს ლახვარს ამიერ-კავკასიის მებრძოლ დემოკრატიას, არ შეუძლიათ შეიგნონ ნამდვილი აზრი და შინაარსი ამიერ-კავკასიის დემოკრატიის. და თავის სიბრმავით იგინი ნამდვილ მოღალატეების როლს თამაშობენ. და სხვა სახელს ისტორია არ არგუნებს მათ მოქმედებას.

მუშათა კლასის დიდი ნაწილი, გლეხთა უმრავლესობა უკვე ერკვევა და შორდება მათ. სოციალდემოკრატია ვალდებულია ეცადოს, რომ დანარჩენი მუშებიც გამოაცალოს ხელიდან ამ მოღალატეობის და გამცემლობის ბუდეს. კლასობრივი დარაზმვა პროლეტარიატისა მარქსიზმის დროშის ქვეშ—აი ამის საუკეთესო საშვალება. ხოლო მოღალატეებს ისტორიულ სამარცხვინო ბოძზე გაკვრასთან ერთათ არ უნდა ასცდეს მტკიცე ხელი წმენდისა, რომელიც სამართლიანად მიუზღავს თვითეულს საქმისამებრ მისსისა.

## გულახდილი აღსარება

საბჭოების მე 4 ყრილობაზე, რომელმაც ბოლშევიკურ უკრა უმრავლესობის პირით დაადასტურა ლენინის მთავრობის მიერ შეკრული სამარცხვინო ზავი, თვითონ ლ. ლენინი, ამიერიდან სოციალდემოკრატიას ჩამოშორებული, ამტკიცებდა, რომ მის ასეთ „მარცხს" ნიადაგი მოუმზადა კერენსკის და წერეთლის მოქმედებამ, რომელიც თურმე ჯარის დაშლას უწყობდა ხელს.

მარა ჩვენ ვიცით, რომ ჯარში გახრწნილება შექონდა არა ამათ, არამედ ბოლშევიკების თავაშვებულ დემაგოგიას. ლენინს თითქო შერცხვა ასეთი თავის მოღვაწეობის გამომზეურება და თავის ცოდვები სხვას გადააბრალა.

მაგრამ მისმა პოლიტიკურმა მეზობელმა მემარცხენე ესერმა, კამკოვმა დათვური სამსახური გაუწია და თავის პირით აღიარა ის, რაც ნამდვილათ იყო.

აი მისი სიტყვები:

„მე ამხანაგებო, უნდა გულახდილათ ვთქვა, რომ როცა ლენინი ამტკიცებს კერენსკიმ და სხვ. გახრწნეს ჯარიო, ეს არ არის მართალი. მოვიპოვოთ საკმაო გამბედაობა და ვთქვათ, რომ ჩვენც ლენინთან ერთად არა ნაკლები მონაწილეობა მივიღეთ ჯარის გახრწნაში". ამის შემდეგ განა შეიძლება ვისმე ეჭვი დაებადოს იმაში, თუ საიდან ეწვია უბედურობა რუსეთის ხალხს, რუსეთის რევოლიუციას? განა ის სამარცხვინო ზავი, რომელიც ლენინის მთავრობამ შეკრა და რომლისთვისაც მან „მხურვალე ტაში დაიმსახურა" მოსკოვის სამარცხვინო ყრილობაზე, ზავ ღალათ დარჩება ისტორიაში „კომუნისტების პარტიის" სახელზე?

და ამიტომ ჩვენ ვაფრთხილებთ მუშათა კლასს არ აჰყვეს ამ ახალ ფორმით მოვლენილ ბოლშევიკებს, რომელთაც უღალატეს არა თუ მარქსს, არამედ უბრალო პოლიტიკურ რიგიანობას.

## კომუნისტები და მარქსი

ბოლშევიკები ახალი ფირმით გამოვიდნენ სავაჭროთ, ე. ი. თავის დემაგოგიის გასასაღებლათ. მაგრამ მათ კარგათ იციან, რომ მუშათა კლასში გასავალი აქვს ერთ ძველ ლოზუნგს, რომელსაც ისინი აქამდე დიდის მოწიწებით აღიარებდნენ, ესაა მარქსიზმი.

წმინდა წყლის მარქსიზმი, ბოლომდე მიყვანილი მარქსიზმი, და სხ. ასეთ ეპიტეტებით ამკობდენ ისინი თავის ანარქობლანკისტურ დებულებებს.

და ზოგიერთ მასსაში კიდეც ქონდა გასავალი ამ ლოზუნგებს. ისინი ამით აბრუებდენ ხანდახან ნამდვილ მარქსიზმის ნაცვლათ თავის საკუთარ აბდაუბდის გასაღებას მარქსის ფირმით.

დღეს, როცა სოციალდემოკრატიას აშკარათ ჩამოშორდენ, ახალი ფირმით მოგვევლინენ, ამ ძველ ლოზუნგებს კიდევ ებღაუჭებიან საბჭოების ცენტრალურ უწყებების 16 მარტის ნომერში ისინი ასე სწერენ:

„ბოლშევიკების პარტიამ, გამოიცვალა რა სახელწოდება და დაირქვა კომუნისტური, შეინახა ცხოველი სული მარქსიზმის, რევოლიუციური საერთაშორისო ხასიათი პროლეტარულ მოძრაობის და საუკეთესო რევოლიუციური ტრადიციები 1898 წელში შექმნილ რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიის".

ნეტა რაში გამოიხატება ეს ცხოველი მარქსისტული სულის შენარჩუნება?

პროგრამა მათ უარჰყვეს მარქსისტული, ტაქტიკა უკუაგდეს მარქსისტული, პრაქტიკა მათი ხომ თვითმპყრობელურია,—მაშ რომელი მარქსისტული სული შეირჩინეს? ცხადია, მათ არავითარი მარქსიზმი არ შეურჩენიათ, მით უმეტეს, რომ მარქსიზმზე წინეთაც დიდათ დაშორებული იყვნენ.

მაშ რათ ებღაუჭებიან ამ ძველ სახელს? ეს ადვილი ასახსნელია. ბოლშევიზმი კოტრდება, ხოლო თქმულებაა: გაკოტრებული ვაჭარი ძველ თამასუქებს დაუწყებს ძებნასო. ფირმის გაძარცვასთან ერთათ ბოლშევიკებმა გაქნილი ვაჭრის არც ეს თვისება დაივიწყეს. ახალი ფირმით იწყეს ვაჭრობა და ძველ თამასუქებსაც უყრიან თავს. მაგრამ დაიჯერებს კი ვინმე, რომ მათი თამასუქები ყალბი შედგენილი არაა?

## პრესა

„სახ. საქმეს" არ მოსწონებია, რომ მათ ოსმალეთის ფაშების თანამოაზრეობა დავსწამეთ და პირაქეთ გვედავება, თქვენ ეხნრობით თათრებსო:

„ქართველი ხალხის, ქართველი დემოკრატიის მთლიანობას მსხვერპლად სწირავს მითიურ მთლიანობას".

აი საბუთი მათი გამოლმა შემოდავების დასამტკიცებლათ. ეს „მითიური" მთავრობა, როგორც ვიცით, დღეს არსებობს და იბრძვის ამ მთლიანობის გასამტკიცებლათ.

მაგრამ საქმე ამაში კი არაა.

საქმე არც იმაშია, რომ სოც.-ფედერალისტთა რაზმები იბრძვიან ფრონტზე.

საქმე იმაშია, თუ როგორ პოზიციას იცავენ ისინი ოსმალეთთან ზავის საკითხში.

ამ მხრივ კი მათი მოთხოვნა დაუყონებლივ ცალკე საქართველოს მთავრობის შექმნის და საზავო მოლაპარაკების ამ მთავრობის სახელით წარმოების—მხოლოდ განმეორებაა რაუფ-ბეის მოთხოვნილებისა. აბა დაამტკიცონ „სახ. საქმის" მესვეურებმა, რომ ეს ასე არ არის, რომ მათი პლანი ამიერ-კავკასიის შესახებ, სავსებით არ ეთანხმება ოსმალეთის ფაშების პლანს.

ჩვენ ამას სადემაგოგიოთ კი არ ვამბობთ, პირიქით, ამას ღრმა პოლიტიკის მნიშვნელობას ვაძლევთ. ოსმალეთის პლანების განხორციელება—ეს საქართველოს არას შემთხვევაში არ მოუტანს სარგებლობას. ამიტომ ყოველი ასეთი ნაბიჯი უნდა უარყოფილ იქნეს. ყოველ ასეთ ნაბიჯს ჩვენ უნდა ვებრძოლოთ. დიდი დამარცხება იქნება, თუ ამ პლანის განხორციელება თავზე მოახვიეს ქართველ დემოკრატიას.

სოციალისტ-ფედერალისტების დანაშაული კი ის არის, რომ ისინი ამ დამარცხებას ეტრფიან და მის განხორციელებისათვის იბრძვიან სიტყვით, წერით და მოქმედებით.

შეიძლება მათ საუკეთესო განზრახვებით მოსდისთ ეს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჯოჯოხეთის გზაც ასეთ კეთილ განზრახვებით არის მოკენჭილი.

* * *

არჩ. ჯაჯანაშვილი ეხება ამხ. ირაკლი წერეთლის სიტყვას ეროვნულ საბჭოს სხდომაზე და, სხვათა შორის, ასეთ აზრს გამოსთქვამს:

„როგორც რღვევის სიგიჟემ მოიცვა მთელი რუსეთი, ისე სულ სხვანაირი სიგიჟე დატრიალდება ჩვენს გარშემო და ამ შემთხვევაში ირაკლი წერეთლის იმედები ჩაიფუშება".

რა სთქვა ირაკლი წერეთელმა? მან აღიარა საბჭოს წინაშე, რომ ქართველი დემოკრატიის ისე, როგორც ყველა სხვა ერთა დემოკრატიის მთავარი სიმაგრეა, უძლიერესი პოზიციებია ამიერ-კავკასიის მთლიანობა და ჩვენ ამ პოზიციებზე უნდა გავმაგრდეთო. თუ დარღვევის პროცესმა გვძლია, თუ ეს უბედურება გვეწვია და ჩვენ იძულებული ვიქნებით უკან დავიხიოთ, მაშინ იმას შევეცდებით, რომ ერთი კუთხე ამიერ-კავკასიის—საქართველო—მაინც გადავარჩინოთო. მარა იქვე დაუმატა: ეს უკანასკნელი პოზიცია იქნება, რომელიც ყველაზე სუსტია და რომელზედაც გამაგრება ძლიერ გაგვიჭირდებაო. განა ასეთი ანალიზი სწორი არ არის? განა იგი ანგარიშს არ უწევს რუსეთის სიგიჟის მოზღვავებას ჩვენს მხარეში? რასაკვირველია უწევს ანგარიშს. განსხვავება მის და მასთან ერთად ჩვენს პოზიციაში და სოც.-ფედერალისტების პოზიციაში ის არის, რომ ჩვენ უძლიერეს პოზიციებზე გამაგრებას ვაპირებთ და აქ ვმართავთ უმთავრეს ბრძოლას.

სოც.-ფედერალისტთა სტრატეგები კი გვირჩევენ მოსალოდნელ სიგიჟის ტალღებს ახლავე გავექცეთ და უკანასკნელ სუსტ პოზიციებზე გადმოვდგეთ. ესე იგი ამ სიგიჟის ტალღების მოახლოვებას და ამით ჩვენს წალეკვას თვითონ ხელი შევუწყოთ.

შეიძლება ანარქიის ზღვა მართლა დაღრჩობას გვიქადის. ვინ იტყვის გადაჭრით, უეჭველათ ვძლევთ სტიქიასო. მაგრამ ზღვაში ჩავარდნილს რომ ხელებს უკრავდეს ვინმე—და თან უუბნებოდეს—ახლა უკეთ გასცურავ ნაპირამდეო—არა მგონია ჭკუათა მყოფელის სახელი დაიმსახუროს.

## ირ. წერეთლის სიტყვა

(წარმოთქმული სეიმის სხდომაზე 7 მარტს სადახლოს შეკითხვის გამო).

მოქალაქენო — ხალხის წარმომადგენელნო! ამ შეკითხვას ს.-დემოკრატიული ფრაქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს. ფრაქციის ღრმა რწმენით ისეთ მოვლენაში, როგორიც სადახლოში მოხდა, იბადება ჩვენი ქვეყნისათვის ფრიად დიდი საფრთხე. ისე, როგორც რუსეთში სოციალურმა მაქსიმალიზმმა, სოციალურ მადის ხელოვნურათ გაღვიძებამ დაღუპა სახალხო საქმე, აქ, ამიერ-კავკასიაში ნაციონალური მაქსიმალიზმი, ნაციონალური სიმძულვარის გაღვივება დაღუპავს ამიერ-კავკასიის დემოკრატიის საქმეს. ეს ჩვენ ღრმათ გვწამს და ეს საკითხი აქ სეიმის ტრიბუნაზე გამოვიტანეთ კიდევ იმიტომ, რომ დღეს შეიძლება მასთან ბრძოლა და ამ საკითხის ბოლოს მოღება. დემოკრატიულ მთავრობის მიერ მიღებულ ზომებთან ერთად, რომელსაც ჩვენი პარტია იწონებს და ხაზს უსვამს, მაქსიმალისტურ გამოსვლების ჩაქრობის დროს გადამწყვეტი როლი ჰქონდა იმ პარტიის მოქმედებას, რომელიც მჭიდროთ შეკავშირებულია მშრომელ მასსასთან. მისმა დაუღალავმა შრომამ, მისმა ხალხთან აპელიაციამ ის ჰქნა, რომ ბოლშევიკურ ხასიათის ანარქისტულ გამოსვლებთან ბრძოლაში, რომელიც ჰგვიქადდა დემოკრატიის საქმის დასამარებას, მთავრობამ შესძლო გამარჯვებული გამოსულიყო და ჩაექრო ასეთი გამოსვლები. აქაურმა მშრომელმა მასამ შესძლო შეექმნა აქ ძლიერი დემოკრატიული საფუძველი. ჩვენ შევსძელით შეგვექნა აქ დემოკრატიული ძალა და მთავრობის ძალა, გავმკლავებოდით ნგრევის სტიქიას და თვით მასა შემოქმედებითი გზაზე დავაყენეთ ამ მხრით, პარტიამ, რომელიც პირდაპირ შეკავშირებული იყო მასასთან, რომელშიაც უხდოდათ გაღვიძებიათ ქვენა სოციალური ინსტიქტები, გადამწყვეტი როლი შეინარჩუნა და შესძლო ანარქიის შეჩერება. ნაციონალურ შუღლის და მტრობის სფეროში, რომელიც მთელ ქვეყანას დაღუპვას უქადის, დიდი როლი უნდა ითამაშოს იმ ორგანიზაციულმა ნაციონალურმა ჯგუფებმა, რომლების ხმას ყურს უგდებს მასა, ის მასა, რომელიც ადვილათ ეგება პროვოკაციის ანკესზე, რასაც ხშირათ ნაციონალური შეტაკება და სისხლის ღვრა მოსდევს.

ჩვენ, სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულათ მოწყობის საქმეში გამოდის ნაციონალურ პარტიების კონტაქტიდან, განსაკუთრებული შიშით უყურებს ასეთ ფაქტებს. და გამოვდივართ ამიერ-კავკასიის დემოკრატიის დამღუპველ ძალთა წინააღმდეგ. ჩვენ მუდამ გამოვდიოდით და გამოვალთ ყოველ ანარქიულ ექსცესების წინააღმდეგ, მართალია, მე ვაღვიარებ, რომ არა მარტო კერძო პირთა ბოროტი განზრახვა არის ამის

მიზეზი, რომელთაც უნდათ გაალიზიანონ გლეხთა მასა და პროვოკაცია მოახდინონ მათში, არამედ—ისიც, რომ წინანდელ რეჟიმის დროს რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ნაციონალურ შუღლის გამწვავებამ თავის ნაყოფი გამოიღო. ეს არის მასაში, ეს ბოროტი უნდობლობა, უმთავრესად სომხებში და თათრებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა იმ ფაქტებს, რომლის შესახებ არა ერთხელ გვილაპარაკია ამ ტრიბუნიდან. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ეს სიმძულვარე სტიქიურია, მაგრამ არის კიდევ ერთი სტიქია,—ერთგვარი ინტერესების შეგნება, სტიქია ამ ნაციონალურ სისხლის ღვრის დროს ორივე მხრის დაღუპვის შეგნების და როცა მთავრობის წარმომადგენელმა გაგვაცნო ჩვენ აქ სადახლოში მომხდარ შეტაკების ჩაქრობის საქმე, ჩვენ გავიგონეთ, რომ ორივე მხრის შეტაკების შემდეგ, როცა მათ მიმართა წითელი გვარდიის წარმომადგენელმა, ორივე მხარეში გაიღვიძა მეორე სტიქიამ, ძმობა ერთობის სტიქიამ და იმის შეგნებამ, რომ ასეთი სისხლის ღვრა და შეტაკება დაღუპავს ორივე მხარეს—ნაციონალური ფრაქცია დაშნაკციუტუნის წარმომადგენელნი ერთი მხრით და მუსავატის მეორე მხრით ყოველ თავიანთ გამოსვლებზე აღნიშნავენ, რომ ნაციონალური შეტაკება დამღუპველია, მაგრამ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას ისეთი დიდი საფრთხე, მთელის, რომ მარტო ასეთი გამოსვლები საკმარისი არ არის. თუ მართლა ასეთ გამწვავებულ დროს ნაც. პარტიები ამბობენ, რომ მათ არ სურთ, რომ ხალხის მასა ასეთ სისხლის ღვრაში ჩაერიოს, მაგრამ ამავე დროს მთელ თავის ყურადღებას მეორე მხრის შეცთომებს აქცევენ, ეს იმ მასაზე, რომელიც მათ მისდევს არა სასურველ გავლენას ახდენს. მე ამ გარემოებას ხაზს ვუსვამ, რადგან იმ პარტიის პრაქტიკაში, რომელსაც მე ვეკუთვნი, ანალოგიურ საშიშ შემთხვევების დროს, სხვა ტენდენციებს ქონდა ადგილი და ამ ტენდენციებს აქ ამიერ-კავკასიაში სამაგალითო შედეგები მოჰყვა. როცა შეცთომები ხდება და მცხოვრებთა სხვადასხვა ნაწილები ერთი მეორეს ღუპავენ და ხოცავენ, ის ვისაც მცხოვრებთა ერთ ერთ ჯგუფზე გავლენა აქვს. დიდის სიფრთხილით უნდა შეხედოს იმ შეცთომებს, რომელიც ხდება და ყველა ის, ვინც აქ ამწვავებს საქმეს პირველათ თავის საქმის მტრათ უნდა გამოაცხადონ და ამის და მიხედვით მიმართოს მასას. როცა გლეხთა და მუშათა მასაში, სადაც ჩვენ გავლენა გვაქვს, გაჩნდენ ისეთი პირნი, რომელთაც უნდოდათ ანარქიის, დაღუპვის გზაზე დაეყენებიათ ეს მასა, ჩვენ მთელი ჩვენი ყურადღება ჩვენშივე ამ ძალებს მივაქციეთ და მასთან ბრძოლა დავიწყეთ. და მასისთვის სხვების შეცთომებზე არ მიგვითითებია. ნაციონალურ ბრძოლის დროს მხოლოდ ამ გზით შეუძლიათ ავტორიტეტიულ და გავლენიან პარტიებს ასეთ არა სასურველ ექსცესების ბოლოს მიღება. ჩვენი სურვილია ასეთი ხასიათი ჰქონდეს იმ ავტორიტეტიულ პარტიების გამოსვლას, როგორც სეიმში ისე სეიმს გარეთ, რომელთაც ყურს უგდებს მას და თავის ნაციონალურ ინტერესების გამო მას მიჰყვება. მე მგონია, უკეთუ ეს ავტორიტეტული პარტიები მიმართავენ მასას ისე, როგორც ეს სადახლოში წითელ გვარდიელებმა ქნეს, ასეთ მიმართვებს უფრო მეტი ეფექტი და განმავლობა ექნება მასაზე და ფრიად სასურველ ნაყოფსაც გამოიღებს. და მე ვფიქრობ, რომ ეს პარტიები შეიგნებენ, რომ ერთი მეორეს განადგურებით, როგორც ამას დღეს ჩვენ ვხედავთ, არ უნდა ეცადონ თავიანთ ეროვნულ იდეალების განხორციელებას.

არის სხვა გზები. ჩვენ არ ვამბობთ, რომ შესაძლებელია სრულიად აღმოიფხვრას ნაციონალური მეტოქეობა. ეს უტოპიაა. ჩვენ ვიცით პარტიები, რომლის საბოლოო იდეალი ნაციონალური მიზანია, ეს პარტიები ბევრში განსხვავდებიან ჩვენგან. ჩვენ სულ სხვა საბოლოო მიზანი გვაქვს, რომელიც უფრო იცავს ყველა ეროვნების ფართო მასის ინტერესებს. მაგრამ ერთში უნდა შევთანხმდეთ და ჩემის ფიქრით ეს ის ბაზა არის, რომელზედაც დაყრდნობილია სეიმი და მთელი ჩვენი პოლიტიკა. ისეთი სოციალური და ნაციონალურ ხასიათის სადაო საკითხები ყველა ჯგუფების და ყველა ეროვნებების ინტერესებისთვის უნდა სწყდებოდეს არა სისხლის ღვრით და შეტაკებებით, არამედ შეგნებულ ბრძოლით, როგორც იქ მთელ ქვეყანაში ისე აქ სეიმში. დეე მეტი ბრძოლა აქ იყოს სეიმში ყოველივე სადაო კითხვის გადაწყვეტის დროს. თუ აქ სეიმში სიწყნარე ჩამოვარდა, იქ გარეთაც სიწყნარე იქნება, მასის სტიქიურ გამოსვლასაც ადგილი არ ექნება, რაც ასე ღუპავს საერთო საქმეს. სოც.-დემოკრატიულ პარტიის სახელით მე მივმართავ ნაციონალურ ფრაქციებს, რომ მათ ეცადონ ამ გზით მოაგვარონ ყოველივე ნაციონალური სადაო კითხვები და ხელი შეუწყონ მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს იმ დემოკრატიულ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენი მთავრობა აწარმოებს და რომელიც ჩვენ მოგვწონს. ჩვენ ვასრულებთ ჩვენს ვალს და შევასრულებთ მომავალშიც არა მარტო სოციალურ კითხვების გადაწყვეტის დროს, არამედ—ნაციონალურსაც. ვეცდებით გამოვნახოთ ის ბაზა, რომელზედაც შეიძლება ყველა ეროვნებათა მშრომელ ხალხის შეთანხმება, რომელთა ინტერესები ეროვნულ საკითხშიაც ერთი და იგივეა. მაგრამ, მოქალაქენო—სეიმის წევრნო, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ძალა, ორგანიზაციული დემოკრატიის ძალა საკმარისი არ არის უზრუნველგვყოს ჩვენ ამ ექსცესებიდან და იმისგან, რომ ამ ექსცესებმა კიდევ უფრო ფართო ხასიათი არ მიიღოს და მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატია არ ჩაჰყლაპოს. საჭიროა დახმარება გაუწიოს იმ დემოკრატიას, რომლის განმხრტველი იყო წითელი გვარდია, ის გვარდია, რომელიც ჩადგა ორ მებრძოლ მხარეს შუა და შესძლო მათი მორიგება, ახალმა ძალებმა, უფრო ავტორიტეტულმა იმ ბნელ მასაში, რომელიც ალვილათ ეგება პროვოკაციის ანკესს, რომ ეს ძალები წავიდენ და ამ მასაში სასტიკი ბრძოლა დაიწყოს ანარქიის წინააღმდეგ. მე სიამოვნებით ვეგებები მთავრობის განცხადებას, რომ მან ყოველივე ზომები მიიღო იმის აღმოსაჩენათ, რომ არ მუშაობდა აქ ვისიმე ხელი, ამა თუ იმ მხრიდან. უნდა შემოწმებულ იქნეს ის ფაქტი, რომ თფილისიდან იყო მოწყობილი სადახლოში წითელ გვარდიელებზე თავდასხმა და გამოკვლეულ იქნას ამა თუ იმ პირის ან ორგანიზაციის ამ საქმეში მონაწილეობა. ჩვენ საჭიროთ ვსცნობთ ამ საქმეში დახმარება გაუწიოს მთავრობას, არა მარტო ორგანიზაციულათ შეკავშირებულმა დემოკრატიამ, არამედ ყველა ნაციონალურმა ჯგუფებმა. ამბობენ აგრეთვე სომხების ორგანიზაციულათ გამოსვლის შესახებ. მთავრობას იმის შესახებ არაფერი უთქვამს ღებულობდენ თუ არა ამ გამოსვლაში მონაწილეობას სომეხთა ჯარის ნაწილები. მთავრობის თავმჯდომარემ სთქვა, რომ შეიარაღებულ სომხებს წინამძღოლობდა ესა და ეს პოლკოვნიკიო. როცა ჩვენ აქ სხვა შემთხვევების შესახებ ლაპარაკი გვქონდა გამომჟღავნდა, რომ ამ შემთხვევების დროს მონაწილეობას ღებულობდა ჯარის ნაწილები, ამ გარემოებას ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს არა იმიტომ, რომ როცა ჯარი იღებს მონაწილეობას ეს უფრო ამწვავებს საქმეს, არამედ იმიტომ, რომ ის ჯარის ნაწილები, რომლებიც სამოქალაქო ომში იღებენ მონაწილეობას უძლური არიან შეასრულონ თავიანთი პირდაპირი ვალი სამშობლოს დაცვის საქმეში (ხმები „მართალია“). ჩვენ ამის შედეგები ვნახეთ. მე მაქვს სია მუსულმანთა რამდენიმე სოფლის, რომლებიც სრულიად გაუნადგურებიათ, ჩვენ ამ საშინელ ომს ძმათა სისხლის ღვრას, და ამ სისხლის ღვრაში თვითოეულის დაღუპვას, სულ ერთია სომეხი გლეხი იქნება ის, მუსულმანი თუ ჩვენი სახელოვანი წითელგვარდიელი, ისე ვუყურებთ, როგორც დემოკრატიისთვის გულში ლახვარის ჩაცემას. შინაურ ომში ჯარის ნაწილების ჩარევამ ცუდი შედეგი მოიტანა იქ ერზერუმში ჩვენი ქვეყნის დაცვის საქმეში და შეიძლება მთელი ჩვენი ქვეყნის დაცვის საქმეც სასწორზე დასდოს, ამიტომ ჩვენ წინადადებას ვაძლევთ მთავრობას დიდის ყურადღებით გამოიძიოს ეს საქმე.

## კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა)

20 მარტი.

შავი ზღვის პირად სროლაა.

სოფ. ლაუსტინის რაიონში, რომელიც ახალ სელიმიდან 25 ვერსითაა მოშორებული ჩრდილო დასავლეთით, აღმოჩენილ იქნენ ქურთები.

სარაყამიშის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს სოფლები კიურკი, ვარტაპუტი, ჩერმუკი და ზაკიმი. ეს სოფლები 3 ვერსითაა მოშორებული ბარდუსის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

მეჯინგერტიდან ორი ვერსის მოშორებით ჩრდილოეთით ოსმალთა ჯარების წინსვლა ჩვენმა ჯარებმა შეაჩერა.

## ამიერ-კავკასიის ამბები

ბაქოდან 20 მარტს თფილისში შემდეგი ცნობა მოვიდა: 18 მარტს საღამოს ბრძოლა გაჩაღდა მუსულმანებსა და ბალშევიკებს შორის. ზარბაზნებიდანაც კი ისროდენ. გუშინ მთელი დღე სწარმოებდა, ბრძოლა, ბევრია თათრები ტყვეთ წაყვანილი, ციხე მატროსებმა აიღეს. გუშინ საღამოს 7 საათზე ზავი ჩამოვარდა იმ პირობით, რომ თათრებმა მთელი იარაღი ბალშევიკებს გადასცეს და რკინის გზაზე თფილისამდე მოძრაობა აღადგინონ. მთელი ღამე შედარებით სიწყნარე იყო. დილით კი, კვლავ დაიწყო ზარბაზნების სროლა. ამბობენ, სანამ სავსებით არ აყრიან იარაღს, არ დაწყნარდებიანო. მდგომარეობა მეტად საშიშროა. გუშინ ბალაჯარი-კიშლის შუა დაიმსხვრა მატარებელი № 4. აქ თათრებს ლიანდაგი აეყარათ. მატარებელს ტყვეები დაუშინეს, მგზავრების ერთი ნაწილი გაიქცა და ზოგიერთები ფეხით მოვიდენ ბაქოში, მეორე ნაწილი თათრებმა ტყვეთ წაიყვანეს. მატარებლის უკანა ნაწილი ბალაჯარაში მიიტანეს, წინა ნაწილი—ორთქლმავალით და ვაგონებით ლიანდაგიდან გადავარდნილია. ჯავშნოსანი სურახანამდე დადის. გზა აქაც აყარეს თათრებმა, მაგრამ ჯავშნოსანის დახმარებით შეკეთებულ იქნა.

კავკასიის რკინის გზაზე ხასავ-იურტს იქით ბილეთს არ ყიდიან, თუმცა კერძო ცნობებით მატარებლები როსტოვამდე დადიან.

ამ სამი დღის წინათ პეტროვსკში დამთავრდა ბრძოლა წითელ გვარდიელებსა და დაღესტნელებს შორის. გაიმარჯვეს დაღესტნელებმა. როგორც ამბობენ, წეს-რიგი აქ ახლა საუცხოვოა.

თათრები ბლომათაა დახოცილი. რკინის გზის მოსამსახურეთა შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვს, ვინაიდან ბაქოს თათართა უბნებში მცხოვრებნი სამსახურში არ გამოცხადებულან. ამიტომ არ ვიცით რა ბედი ეწვია მათ.

ბალშევიკების მხარეზე არიან ყველანი, გარდა თათრებისა. დაჭრილ-მოკლულნი ასობითაა. მსხვერპლი ორივე მხრითაა, მაგრამ უფრო მეტია თათრების მხრით. დატყვევებული თათრებით გავსილია თეატრები და სინემატოგრაფები. დიდი დახმარება გაუწიეს ბალშევიკებს მატროსებმა. სხვა მხრიდან ბალშევიკებს არავითარი დახმარება არ მიუღიათ. ყველა ადგილობრივი ჯარები ბალშევიკების მხარეზეა.

შეტაკებას ნაციონალური ხასიათი არ აქვს. შეტაკების მიზეზათ შემდეგი გარემოება უნდა ჩაითვალოს: იარაღის აყრა მოუნდომეს მუსულმანთა დივიზიონის 70 სალდათს, რომლებიც ზღვით სადღაც გამგზავრებას აპირებდენ. მათ წინააღმდეგობა გაუწიეს, რასაც ეს შეტაკება მოჰყვა. ბალშევიკებს ხელმძღვანელობენ: შაუმიანი, ჯაფარიძე, სუხარცევი. ბალშევიკებს მხოლოდ ერთი ჯავშნოსანი ჰყავთ. მეორე ჯავშნოსანი მათ კავკავის რკინის გზაზე წაართვეს.

21 მარტს დილის 6 საათზე შემდეგი ცნობა მოვიდა: გუშინ ბრძოლა იყო, დღეს შესწყდა. ისმის მხოლოდ სროლის ხმა ზოგიერთ ადგილებიდან. შავი ქალაქის მხრიდან ძლიერი სროლის ხმა ისმის. როგორც სჩანს დიდი ბრძოლაა თეთრ ქალაქში. ბალაჯარიდან გუშინ თათრებს სად. ეიბათისკენ დაახევინეს. ახლობელი „პრომისლებიდან“ მუშები გაიქცენ სად. ბალაჯარისაკენ. სადგურზე მოვიდენ მუსულმანების წარმომადგენლები და წინადადება მისცეს მოსამსახურეებს ეიბათის სადგური დაეტოვებიათ. საბუნჩის სადგურზე გუშინ სროლა იყო. სურახანიდან არავითარი ცნობა არ არის. როგორც ამბობენ, იქაც სროლაა. ამბობენ ცეცხლიც ჩანდაო; როგორც ეტყობა, ნავთის შადრევანი იწვის. თვით ბაქოში დაიწვა „თევზის ბაზარი და მის ახლოს ერთი სახლი. ამ ჟამად ბალშევიკებსა და მუსულმანებს შორის მოლაპარაკებაა. შედეგი ჯერ არ ვიცით.

---

ბაქოში მომხდარი ამბების გამო 20 მარტს სეიმის სხდომის დახურვის შემდეგ შესდგა ამიერ-კავკასიის მთავრობის, სეიმის პრეზიდიუმის და ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებული სხდომა. გამომუშავებულ იქნა ზომები, რომლის განხორციელება მიენდო სამხედრო მინისტრს.

---

**ერევანი.** ჯავშნიანი მატარებლის უფროსი ხუნგაია იტყობინება: „ჯავშნიანი მატარებლით დღეს მივედი ერევანში. დღეს მივიღებ მუშებსა და მასალის მოძრაობის აღსადგენათ და ხიდების შესაკეთებლათ. მოძრაობა უნდა იქნას აღდგენილი სადგ. არარატიდან. ხვალ, 21 მარტს, დილის 5 საათზე წავალ სად. არარატის იქით. ქალაქთა კავშირის ადერბეიჯანის რაზმის რწმუნებული ბებურიშვილი ტრანსპორტით მოვიდა დღეს სად. კამარლიუში სამხედრო წესით. ტრანსპორტს შეადგენს 400 ცხენი. მთელი ქონების გამოსატანათ საჭიროა 100 ვაგონი“.

**აჯიკაბული.** ჯავშნიანი მატარებლის უფროსი ვალ. გოგვაძე იტყობინება: „სად. აჯიკაბულში აღვადგინე რევოლიუციონური წეს-რიგი. მიადგანოვთან ერთად მე ყველა სადგურებზე ვიწვევდი მუსულმანთა კრებებს. ავუხსენი მათ, თუ რა საზარალოა თვით მათთვის და აგრეთვე მთელი მხრისათვის რკინის გზაზე და მოსამსახურეებზე თავდასხმა. ჩვენმა მისვლამ დიდი გავლენა იქონია თათრებზე“.

**გუმბრი.** 19 მარტის თარიღით საგანგებო საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გოლვანოვი იტყობინება: „გუშინ, 18 მარტს, გუმბრის მუსულმანები, სომეხთა ნაციონალურ საბჭოს ნებართვით შეუდგენ ქალაქიდან გასვლას ახლო მდებარე მუსულმანთა სოფლებში. ქალაქიდან გამოსვლის დროს მუსულმანთა ტრანსპორტს სროლა აუტეხეს. არის მსხვერპლი. საგამომძიებლო კომისიამ სამხედრო ორგანიზაციებთან ერთად დანიშნა საქმის გამოძიება. მუსულმანების წარმომადგენლები მოითხოვენ გაიგზავნოს გუმბრში სეიმის დელეგაცია საქმის გამოსარკვევათ და მუსულმანთა დასამშვიდებლათ. საგამომძიებლო კომისია იღებს ყოველგვარ ზომებს დამნაშავეთა აღმოსაჩენათ.

---

**ბორჯომის ხეობა.** ბორჯომ-აწყურში შექმნილ მდგომარეობის გამო გენერალ არჯევანიძეს წინადადება ჰქონდა მიცემული ბაკურიანის რაიონის კ. მისრისათვის თვალყური ედევნებია რაიონისათვის, რათა რაიმე ნიადაგზე პროვოკაციულ გამოსვლებს არ ჰქონოდა ადგილი. სამწუხაროდ, ამ როლში აღმოჩნდა თითონ კომისარი რაზმაძე.

12 ამ თვეს ის გზავნის დეპეშას გენ. არჯევანიძის სახელზე, რომ მას აქვს შეტაკება მუსულმანებთან, მდგომარეობა სერიოზულია და სთხოვს დახმარებას იარაღით და ტყვიით. ეს დეპეშა ჩაუვარდა ხელში ბორჯომის აღმას. კომიტეტს. 15 ამ თვეს ბაკურიანიდან დაბრუნებულ ამხანაგებმა გააკეთეს ამის შესახებ შემდეგი შინაარსის მოხსენება: ბ. რაზმაძეს შეტაკება მართლაც ჰქონია მუსულმანების ერთ სოფელთან, რომელსაც გარს არტყია სომხების და სხვა ეროვნების სოფლები. ის შესევია ამ სოფელს თავის რაზმით და ერთბაშათ გაუნადგურებია. მცხოვრებნი გაქცეულან და ბ. რაზმაძე შესდგომია თავის რაზმით დარბევას. წამოუღიათ აყარებული საოჯახო ნივთები და წამოუსხამთ რამდენიმე სული საქონელი. ამის შესახებ ბორჯომის აღმასრულებელ კომიტეტმა შემდეგი ზომები მიიღო: თითონ კომისარი რაზმაძე დაატუსაღა და გორის ციხეში გაგზავნა. აირჩია დელეგაცია, რომელიც გაემგზავრა მუსულმანების დარბეულ სოფელში. მათ დაუბრუნებს მოტაცებულ ნივთებს და საქონელს და ეცდება უთანხმოების მშვიდობიანად დასრულებას. აგრეთვე დაადგინა სასტიკი ზომები მიიღოს ყველა იმ პირების წინააღმდეგაც, რომლებიც მხარს უჭერდენ ამ საქმეში ბ. რაზმაძეს.

ნოდე

## ცხინვალის ამბები

20 მარტს, საღამოს ექვს საათზე 45 წ. პირდაპირ მავთულით შემდეგი ცნობა გადმოსცა თფილისში გორიდან ჯავშნიანი მატარებლის უფროსმა სტეფანოვმა: დღეს 8 საათზე წითელი გვარდია გაემგზავრა ცხინვალში. ჩვენ შემოგვიერთდენ ხაშურიდან, ბორჯომიდან და სხვა ადგილებიდან გვარდიელები. გვარდია საგრძნობ ძალას წარმოადგენს. დღეს, საღამოს 5 საათზე მივიღეთ ცნობები, რომ ჩვენი რაზმი ცხინვალს შვიდ ვერსით დაუახლოვდა. მოწინააღმდეგეები ჯერ არ შეხვედრიან ჩვენებს. ოსებმა ორი დელეგაცია გამოგვიგზავნეს, ერთი რაზმში, მეორე—გორში. მეორე დელეგაცია, როგორც ეტყობოდა, გამოგზავნილი იყო ჩვენი ძალების დასაზვერავათ. დელეგაციის სამი წევრი, როგორც საეჭვო პირები შევიპყარით.

სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლათ დელეგატებმა გვთხოვეს არ დაგვეწყო ბრძოლა. შევიტყეთ, რომ იქ მოქმედებენ ავაზაკები. ცხინვალში დარბეულია 60-მდე სახლი, იქ გაგზავნილი წითელ-გვარდიელები, როგორც ეტყობათ შეუპყრიათ. მათი არაფერი ვიცით. მოკლულნი არიან მაჩაბელი, კაზიაშვილი, კეცხოველი, გაგლოევი ტყვეთ წაუყვანიათ. დღეს ჯავშნიანი მატარებლით ვიმოგზაურე ხაშურამდე. გზაზე მშვიდობიანობაა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ედ. ბერნშტეინის აზრი ბალშევიკების შესახებ.

ედ. ბერნშტეინი თავის წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „ბალშევიკების ტილზიტი“, სხვათა შორის სწერს:

„იმ დროს, როცა რეაქციონერები, ლიბერალები და ბლოკის მომხრე გერმანიის სოციალისტები ბალშევიკებს თავს ესხმიან, ამ უკანასკნელთა მოქმედების კრიტიკა მეტად არა სასიამოვნო საქმეა, მაგრამ ბალშევიკების მოღვაწეობის შესახებ ყურის მოყრუება იქნებოდა უდიდესი უსამართლობა რუსეთის პროლეტარული დემოკრატიისადმი და ამით შეძლება მივსცემდით იმათ, (ბალშევიკებს) რომლებსაც რუსეთი დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანეს, მოწინააღმდეგებთან კამათის დროს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მარცხენა ფრთაზე მიეთითებიათ—ეთქვათ—რატომ / ისინი ჩვენს შესახებ არაფერს ამბობენო!

ბერნშტეინი აღნიშნავს, რომ მან თავის წერილში—„ბალშევიკების საერთაშორისო პოლიტიკა“—იწინასწარმეტყველა, რომ ბალშევიკების პოლიტიკა გერმანიის იმპერიალისტებს ნებას აძლევს ისე ათამაშონ ბალშევიკები მათ, როგორც კატა თაგვს ათამაშებს, რომ ბალშევიკების სრული გაკოტრება აუცილებელიაო და სხ.

ბალშევიკებმა არ აასრულეს უპირველესი მიზანი,—რუსეთის ყველა სოციალისტური და სოციალიზმის მახლობელი ძალების გაერთიანების შესახებ, რათა ქვეყნის დაცვის საქმე მოეგვარებიათ. არც იმ მხრით გამოიყენეს თავდაცვის საშუალებანი, რომ გერმანელებს ხელთ არ ჩავარდნოდათ მდიდარი ქონება პეტროგრადის გზაზე და მის რაიონებში.

თავიანთი აგიტაციით, ზავის დაუყოვნებლივ ჩამოგდების შესახებ, მათ სრულიად გახრწნეს ჯარი და ბალშევიკების სოციალისტური ცდის პირდაპირი შედეგია რუსეთის სრული დაუძლურება.

უნაყოფო დარჩა აგრეთვე ყოველი მხრიდან ბალშევიკებისთვის იმის რწმუნება, რომ გერმანიაში რევოლიუციის მოხდენის იმედი უნაყოფოა.

ამ შემთხვევაში—ამბობს ბერნშტეინი,—არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა შეცდომას, ვინაიდან ლენინი და მისი ამხანაგები კარგათ იცნობენ გერმანიას, რომ ასეთი შეცდომა მოსვლოდათ.

ბალშევიკების მოქმედების კრიტიკას არ შეუძლია არ გაამტყუნოს ბალშევიკები რუსეთის ტილზიტის საქმეში.

გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატია ყოველგვარ ზომებს მიიღებს, რომ მოსპობილ იქნას რუსეთის ტილზიტის პოლიტიკური შედეგები; მაგრამ ამ შედეგის წინააღმდეგ ბრძოლა იმდენათ საძნელო იქნება, რამდენათაც რუსეთმა ვერ შეასრულა ევროპის პოლიტიკაში თავისი როლი, როგორც დემოკრატიულმა ფაქტორმა. მეტად სასარგებლო იქნებოდა, რომ რუსეთის ყველა სოციალისტური პარტიები შეიგნებდენ რუსეთის ტილზიტის მიზეზებს და ამის თანახმად აწარმოებდენ თავიანთ მომავალ პოლიტიკას.

**„კავშირი არა გვსურს თქვენთან“...** სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობაზე მოსკოვში ამხ. ლ. მარტოვმა სხვათა შორის შემდეგი სთქვა:

„ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ამ ყრილობაზე ლაპარაკი იქნება რუსეთის გაყოფისა და რუსეთის რევოლიუციის გერმანიის იმპერიალისტებისადმი გაყიდვის შესახებ“...

ადგილიდან უყვირიან: „ძირს“! თავმჯდომარე სვერდლოვი აჩერებს ორატორს და მოუწოდებს წესიერებისკენ არ დასაშვებ სიტყვების წარმოთქმისათვის.

მარტოვი განაგრძობს: „აუცილებლათ საჭიროა, რომ ისეთი საყურადღებო საკითხი, როგორიც არის ზავზე ხელის მოწერა უნდა განიხილონ პროლეტარიატის ნამდვილმა წარმომადგენლებმა. ამისთვის საჭიროა, რომ თითოეული მანდატი განხილულ იქნას.

მარტოვი წინადადებას იძლევა, რომ სამანდატო კომისიაში იყვენ აგრეთვე მენშევიკებიც და ყველა ჯგუფებს თუ ფრაქციებს, რა მცირე რიცხვსაც არ წარმოადგენდენ ისინი სამანდატო კომისიაში წარმომადგენლები ჰყავდეთ. „მოვითხოვთ ამას ჩვენი კავშირის სახელით, შესაძლოა ჩვენი კავშირი თქვენთან უკანასკნელიც დარჩეს“.

„ჩვენ არავითარი კავშირი არა გვაქვს თქვენთან“!—ადგილიდან უპასუხებენ ამხ. ლ. მარტოვს.

## ახალი ამბები

**დღეს საღამოს 6 საათზე დანიშნულია ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის რ. ს. დ. მ. პ. კრება ბიუროს ბინაზე გოლოვ. 12. ვთხოვთ წევრებს აუცილებლად დაესწრონ.**

◆ **მიწის საკითხის გარშემო.** მიწათმოქმედების სამინისტრომ უკვე დაგზავნა რწმუნებულები თფილისის, გორის, თელავის, დუშეთის და სიღნაღის მაზრებში. ამ დღეებში რწმუნებულები გაიგზავნება სხვა ადგილებშიაც. რწმუნებულების დანიშნულებაა აგიტაციისა თუ სხვა საშუალებით ხელი შეუწყონ ადგილობრივ მიწის რეფორმის განხორციელებას.

— მიწათმოქმედების სამინისტროსთან დაარსდა საინიციატივო კომისია. კომისიის მიზანია სახალხო მეურნეობასთან შეკავშირებულ საკითხების აღძვრა და განხილვა, ბუნებრივ სიმდიდრიდან შემოსავლის გასაძლიერებლათ პრაქტიკული ზომების შემუშავება, ამ საკითხების შესახებ კანონპროექტების შედგენა როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე მიწათმოქმედების მინისტრის დავალებით. ეს კანონპროექტები საკანონმდებლო წესით წარედგინება სეიმს განსახილველად.

◆ **ქალაქის სასურსათო კომიტეტმა** კავკავიდან საქართველოს სამხედრო გზით მიიღო 1400 ფუთი ფქვილი.

◆ **იაფ-ფასიან სასადილოებს** ხსნის თფილისის სხვადასხვა რაიონებში ქ-ნი აჯემოვისა. ქალაქის გამგეობამ აღუთქვა მას ყოველივე დახმარება, პირველი ასეთი სასადილო გაიხსნება ამ დღეებში პუშკინის ქუჩაზე.

◆ **შრომის კომისარიატმა** შეიმუშავა პროექტი ჯარში გაწვეულ მუშათა უზრუნველ ყოფის შესახებ, ჯარში გაწვეულ მუშებს თავიანთ ადგილები შეენახებათ და დაბრუნებისას მიიღებენ. ვინც არ მოისურვებს ალაგი შეენახოს, მიიღებს განსაზღვრულ ფულს. ეს პროექტი სეიმს წარედგინება განსახილველათ.

**შინაგან საქმეთა კომისრის ამხანაგათ** დაინიშნა კონ. გ. გვარჯალაძე. სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგათ—ჯამ-ბეგ გაჯინსკი.

◆ **ახალი სტილით დროს ანგარიში** ამიერ-კავკასიის მთავრობას აზრათ აქვს პირველი აპრილიდან შემოიღოს.

◆ **თავდაცვის შტაბის განკარგულებით** ქუჩაში სროლისათვის დაატუსაღეს 2 თვით სომხის ცხენოსანთა ბატალიონის ჯარისკაცი არტაშ მერაბიანი და პრაპორშჩიკი ბასაზოვი.

◆ **აფთიაქების მეპატრონეთა კავშირმა** გადასწყვიტა თფილისში სააფთიაქო ნიხრის შეცვლა. ამ საკითხის გამოსარკვევად კავკასიის საქალაქო უწყების სამკურნალოს გამგეობა ადგენს საგანგებო კომისიას.

◆ **საბურთალოს მცხოვრებლებმა** თავიანთ კრებაზე, 18 მარტს დაადგინეს: ვინაიდან ოლღა საჩინოს ასულს გაბაშვილისას ბევრი სამოსახლო ადგილები აქვს საბურთალოზე, რომელსაც დიდ ფასებში ჰყიდის შეძლებულ კლასებზე და სპეკულიანტებზე, მივიღოთ ყოველივე ზომები გარეშე უცხო პირებმა არ შეიძინონ მამულები, არამედ—თვით საბურთალოს ღარიბს მცხოვრებლებმა. ადგილები გაიყიდება ნორმალურ ფასებში მიწის კომიტეტების თანხმობით.

◆ **ქურდების მოკვლა.** 19 მარტს კათოლიკეთა ქუჩაზე, № 2, ვიღაც ბოროტ-მოქმედნი შეიპარენ მე-3 კომისარიატის უფროს მილიციონერის ტერგრიგორიანის ბინაზე. უკანასკნელს გამოეღვიძა და დაინახა რა მის ოთახში ორი ბოროტ-მოქმედნი, იქვე მოჰკლა ისინი.

◆ **მთავრობამ გადასწყვიტა** მომრიგებელ შუამავალთა ინსტიტუტის გაუქმება სოფლათ. მათი საქმეები გადაეცემა მიწის კომიტეტებს.

◆ **კავკასიის დეპეშათა სააგენტოს** დაარსების შესახებ პროექტი უკვე წარუდგინა მთავრობამ სეიმს განსახილველათ.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, 22 მარტს, საღამოს 6 საათზე კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე 6 რაიონ. კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— 22 მარტს, დილის 12 საათზე, სახალხო სახლში გაიმართება კერძო თათბირი წითელ გვარდიელთა ყრილობის დელეგატების. ვთხოვთ ყველა ჩამოსულ დელეგატებს დაესწრონ ამ თათბირს. საორგანიზაციო ბიურო.

— ხუთშაბათს, 22 მარტს, საღამოს 6 საათზე შესდგება ს.-დ. მენშევიკების მე-3 კოლექტივის წევრთა კრება. დღის წეს-რიგი: საერთო კრების მოწვევა, ავლაბარში მუშათა პოლიტიკური კლუბის და სახალხო უნივერსიტეტის განყოფილების დაარსების შესახებ, განცხადება პარტიის ფარგლებში სომეხ ს.-დ. ამხანაგების სექციის მოწყობის შესახებ და სხ. სთხოვენ კოლექტივის წევრებს უეჭველათ დასწრებას დანიშნულ დროზე.

— დღეს, 22 მარტს, საღამოს 5 საათზე, ქალთა უმაღლეს კურსებზე (ანასტასიის ქუჩა № 22) დანიშნულია ქართველ ქალთა სანიტარულ რაზმის წევრთა საზოგადო კრება. ამხანაგებს, რომლებიც ჩაწერილნი არიან რაზმში ვთხოვთ უეჭველათ დაესწრნენ. მოწყალე დების კურსებზე ლექციები დაიწყება 23 მარტს, ლექციების კითხვა იქნება 3—6 საათამდე.

## ამიერ-კავკასიის სეიმი

(20 მარტის სხდომა).

თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

სეიმმა დაადგინა გაგზავნოს ბაქოში საგანგებო დელეგაცია. სამიწათმოქმედო სამინისტროს ზედმეტ დაწესებულებათა გაუქმების შესახებ საკითხი გადაეცა აგრარულ კომისიას. დამტკიცებულ იქნა კანონი ერევანის გუბერნიაში დაზარალებულთათვის დახმარების შესახებ. კავკასიის სააგენტოს დაარსების შესახებ კანონპროექტი განსახილველათ გადაეცა იურიდიულ კომისიას, რომელმაც შემდეგი სხდომისათვის უნდა წარმოადგინოს ეს კანონპროექტი.

შემდეგ სეიმი შეუდგა ნაკაზის განხილვას. მიღებულ იქნა ასამდე მუხლი. ი. ჯაფაროვი მოითხოვს შეწყვეტილ იქნას ნაკაზის განხილვა, ბაქოდან შემაძრწუნებელი ამბები მოვიდა და საჭიროა მოუსმინოთ მთავრობასო. ეს წინადადება ერთხმათ იქნა მიღებული. გზათა მინისტრი მელიქ-ასლანოვი აქვეყნებს ბაქოდან პირდაპირი მავთულით მიღებულ ცნობებს ბალშევიკებსა და მუსულმანებს შორის ატეხილ ბრძოლის შესახებ. შინაგან საქ. მინისტ. **ნოე რამიშვილი** აცნობს დამსწრეთ საერთო მდგომარეობას ბაქოში, ძალა უფლება იქ მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს ხელში იყო. ბალშევიკები საბჭოში უმცირესობას შეადგენდენ, მაგრამ მათ მხარს უჭერდენ მუსავატელები და დაშნაკები. ეყრდნობოდენ რა ამ პარტიებს, ბალშევიკებმა განიზრახეს ამიერ-

კავკასიის მთავრობაზე თავდასხმა, ახლა მუსავატელები მათ წინააღმდეგ არიან, ხოლო დაშნაკცუთიუნის ადგილობრივი ორგანიზაცია კვლავ ბოლშევიკებს უჭერს მხარს. მათ უნდათ ჯერ დამკვიდრდნენ ბაქოში და შემდეგ აქ. მთავრობამ გადასწყვიტა მიიღოს მათ წინააღმდეგ ყოველივე ზომები. გაიგზავნა სხვათა შორის ჯავშნიანი მატარებელი.

**სოფიკურდსკი** (მუს. სოც. ბლოკი), აცხადებს, საჭიროა მთავრობამ მიიღოს სასტიკი ზომები ბოლშევიკების ქურქში გახვეულ ნაციონალისტების წინააღმდეგ, თორემ სულ ერთია არ დავერიდებით არავითარ საშუალებას და გავანადგურებთ მათ.

**რასულ-ზადე** (მუსავ.) ამართლებს ბაქოელ მუსავატელების მოქმედებას, ისინი იძულებული იყვნენ დაეჭირათ მხარი ბოლშევიკებისათვის, რომ ბაქოს გუბერნიაში ექსცესები არ მომხდარიყო. დაშნაკცუთიუნის ბაქოს ორგანიზაციამ ბრძოლა გამოუცხადა ამიერ-კავკასიის სეიმს და მთავრობას, ამანაირათ ჩვენ ახლა ჩრდილოეთიდან მოგველის საფრთხე. საჭიროა მთავრობა მთელი ძალ-ღონით აღუდგეს წინ ბოლშევიკებს.

**მახმუდოვს** (მუსავ.) არ აკმაყოფილებს მთავრობის მიერ მიღებული ზომები. ჩვენ ვიცოდით, რომ ასეთი ამბები მოხდებოდა და იმიტომ ვიძენდით იარაღს. ჩვენ უკვე გამოგვიწვიეს საბრძოლველათ. ამიტომ ბაქოში უნდა გავაგზავნოთ ძალა და არა დელეგაცია. ძალას ჩვენ მოგცემთ, ოღონდ მთავრობამ მოგვცეს საჭირო საშუალებები.

**ი. ჯაფაროვს** შემოაქვს წინადადება შეწყდეს სეიმის სხდომა და ახლავე მოხდეს მთავრობის, სეიმის პრეზიდიუმის და ფრაქციათა წარმომადგენლების თათბირი იმის გამოსარკვევათ, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული ბოლშევიკების წინააღმდეგ.

**ნოე რამიშვილი** აცხადებს, ყველასათვის გასაგებ მიზეზის გამო მე არ შემეძლო უფრო დაწვრილებით აღმენიშნა ის ზომები, რომელთა მიღებას ფიქრობს მთავრობა და მხარს უჭერს ი. ჯაფაროვის წინადადებას სხდომის შეწყვეტის შესახებ.

ეს წინადადება ერთხმათ იქნა მიღებული და სეიმის სხდომაც შეწყდა.

ვენ—ხონ.

# შავი აჩრდილი

ლენინის ცდა დასრულდა.
დასრულდა კატასტროფით.

ოქტომბრის დღეებში რუსეთის ცივ ორანჟერეიაში გადმონერგილი სოციალისტური რევოლიუციის სათუთი მცენარე თანდათან სჭკნება და მის ტოტებიდან დანაცვენ ყვითელ ფოთლებს მოურიდებლად აწიავებს ჩრდილოეთის ქარიშხალი...

განვლო მაღალ და ბრწყინვალე ლოზუნგებით გაშუქებულმა ოქტომბრის წუთებმა და მას თან მოჰყვა დაუსრულებელი, სისხლით შეფერილი, ბურუსიანი დღეები. რუსეთი გაეხვია სამოქალაქო ომისა და ანარქიის ცეცხლით აღენილ კვამლში და მთელი მისი თვალუწვდენელ სიგრძე-სიგანე გონების დამაბნელებელმა წყვდიადმა მოიცო.—და დღეს ამ სიბნელეში, ამ თვალ-უჭვრეტ ბურუსში ნათლად და მკაფიოდ ისახება შავი აჩრდილი რეაქციისა; შავი აჩრდილი, რომელიც შესაძლებელია სულ ახლო მომავალში რეალურ ძალად იქცეს, ხორცი შეისხას და თავისი შეუბრალებელი ხელით შავი ჯვარი დაასოს რუსეთის დიდ რევოლიუციის სასაფლაოზე.

ამ შავი აჩრდილის ფრთების შრიალი დღეს ყველას ესმის, მის მოახლოვებას ყველა გრძნობს. გრძნობენ თვით ბოლშევიკებიც. გრძნობენ და მათდა სამწუხაროდ ვერც ახერხებენ მათგან წარმონაშობ ფაქტის წინაშე წინანდებურად თვალის დახუჭვას. მათი მჭექარე ფრაზები ვეღარ ფარავს მომავალ საშიშროებისაგან გამონასროლ ჩრდილს. მათ სახეზე აღარ ელავს წინანდელი ენტუზიაზმი. მათი თვალები ვეღარ ბრწყინავენ რევოლიუციონური ოპტიმიზმით. მათ სიტყვებში აღარ ისმის ის ჩვეულებრივი რიხიანი და რაინდული კილო, რომლითაც ისინი აპირებდენ საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის გაჩაღებას და მთელ დედამიწის ზურგზე ციური სამოთხის დამყარებას. მათ ხმაში უიმედობის სიმი აკვნესდა.

გადაათვალიერეთ საბჭოთა მესამე ყრილობის ანგარიში, დააკვირდით თვითეულ იქ წარმოთქმულ სიტყვას და თქვენ დარწმუნდებით თუ როგორ უიმედობით უყურებენ ისინი აწმყოს და არსებულ რევოლიუციის ბედს. გადაიკითხეთ მათი მამა-მთავრის—ლენინის სიტყვა, ჩამოაცალეთ მას ჩვეულებრივი მაგარ სიტყვათა გირლიანდები და თქვენ თვალ წინ წარმოგიდგებათ დამარცხებული, ბრძოლა-წაგებული ადამიანი, რომელიც აწმყოში ვერაფერს საიმედოს ხედავს და მხოლოდ მომავლით ინუგეშებს თავს.

მოვიყვანოთ ლენინის სულიერ განწყობილების დასახასიათებლათ მისი სიტყვის ერთი ადგილი:

— „ჩვენ ვიწყებთ უკან დახევის ტაქტიკას,—ამბობს ლენინი,—ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ იჭვს გარეშეა, როგორც შეგნებული პროლეტარიატი ისე შეგნებული გლეხობა ჩვენს მხარეზეა. ჩვენ შეგვიძლია არა მხოლოდ გმირულად უკან დახევა—ჩვენ შეგვიძლია დაუცადოთ იმ დროს, როცა საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატი მოვა ჩვენს დასახმარებლათ და მაშინ დავიწყებთ საერთაშორისო მაშტაბით მეორე სოციალისტურ რევოლიუციასო“.

აქ, როგორც მკითხველი შენიშნავს, ლენინი გულახდილად ლაპარაკობს მეორე სოციალისტურ რევოლიუციაზე. მაგრამ სად დაიკარგა მას პირველი? აკი გასული წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში იშვა მათი წყალობით პირველი სოციალისტური რევოლიუცია! რა იქნა ის? სად გაქრა? ნუ თუ უდღეური გამოდგა? ნუ თუ ასე მალე მიიცვალა? და თუ ეს ასეა, მაშ მართალი ყოფილან ყველა ისინი,—რომელნიც მას უკანონოდ დაბადებულად სთვლიდენ და უდღეურობას უწინასწარმეტყველებდენ!? მაშ რად ებრძოდა ლენინი ამ ხალხს ცეცხლითა და მახვილით? ნუ თუ სიმართლის თქმისათვის და ისტორიული პირობების სწორი დაფასებისათვის?! დიახ, ლენინი დღეს სულ სხვა ჰანგზე ალაპარაკებულა, მას, როგორც სჩანს, პირველი სოციალისტური რევოლიუცია დამარცხებულათ მიაჩნია. და ეხლა თავის ლაშქარს ურჩევს უკან დახევას და დაცდას, სანამ საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატი გამოიღვიძებდეს და მისკენ დასახმარებლათ გამოსწევდეს მეორე სოციალისტური რევოლიუციის მოსახდენათ... მაგრამ აკი გვიმტკიცებდენ ლენინი და მისი მიმდევრები, რომ ეს საერთაშორისო პროლეტარიატი ერთ მათ დაძახებაზე ზეზე წამოიჭრებოდა და მათი სოციალისტური პლანების განხორციელებას შეუდგებოდა. სჩანს ლენინი აქაც მწარეთ სცდებოდა და მართალი იყვნენ ისინი, რომელნიც ასეთი აზრის უსაფუძვლობაზე მიუთითებდენ.

დღეს კი ლენინი საკუთარი ხელით შავს ჯვარს უსვამს მისივე პირმშო შვილს—პირველ სოციალისტურ რევოლიუციას.

მაგრამ ლენინს თუ მომავლის იმედი მაინც შერჩენია და ის ასულდგმულებს, მის ამხანაგს, მემარცხენე ესერს—კამკოვს ეს იმედიც დაჰკარგვია. მისი სიტყვა გაცილებით მეტი სასოწარკვეთილებით არის გაჟღენთილი. ის სასტიკად ილაშქრებს ბოლშევიკების მიერ შეკრულ ზავის წინააღმდეგ და თვალ წინ გვიშლის რუსეთის მომავალ განვითარების საშინელ პერსპექტივებს, თუ არსებული სამარცხვინო ხელშეკრულება მიღებულ იქმნა და რუსეთმა ვერ შესძლო მტრის მოგერიება.

— „ვინც ამტკიცებს ამ საზავო ხელშეკრულებას ის ჯვარს უსვამს რუსეთის რევოლიუციას და მასთან ერთად სოციალისტურ რევოლიუციასაცო“.

დაბეჯითებით აცხადებს კამკოვი.

სრულ სიმართლეს ღაღადებს ამ შემთხვევაში ის. ეს თვალდანახული ჭეშმარიტებაა!.. მაგრამ სად არის დღეს ძალა, რომელიც წინ აღუდგება შემოსეულ მტერს? ეს ძალა ხომ დიდი ხანია თვით კამკოვმა და მისმა ამხანაგებმა—ბოლშევიკებმა გახრწნეს და ლეშად აქციეს?! და განა ათასჯერ მართალი არ იყვნენ ყველა ისინი, რომლებიც ყოველ გზაჯვარედინზე ჰქადაგებდნენ ფრონტის გამაგრებას და სამხედრო ძალის აღდგენას? მაგრამ მაშინ კამკოვი და მისი კოლეგები სულ სხვა გვარად მღეროდენ, ხოლო ამ გულწრფელ რევოლიუციის პატრიოტებს მოღალატეებათ ნათლავდენ!

დღეს კი რომელი ჯადოსნური ძალით სურს კამკოვს დასამარებული სამხედრო ძალის მკვდრეთით აღდგენა? ამაზე ის სდუმს. ალბად თვითონაც გრძნობს ამის შეუძლებლობას...

ყოველივე ზემოთქმულს კი აგვირგვინებს და ასრულებს სახალხო კომისართა საბჭოს ტრაღედიის უკანასკნელი აქტი:—ბლოკის დაშლა და მემარცხენე ესერების მთავრობიდან გასვლა. ეს ფაქტი კი აშკარად ყოფს თუ როგორ სცვივა ყვითელი ფოთლები სოციალისტურ რევოლიუციის დამჭკნარ ხეს. ამ ხის უკან კი მოსჩანს ბურუსში გახვეული სილუეტი შავი აჩრდილისა, რომელიც უთვალთვალებს მის საბოლოოდ დაჭკნობას, რომ ხორცი შეისხას და რისხვით მოევლინოს ძალმიხდილ, სისხლიდან დაცლილ რუსეთის დემოკრატიას.

ალ. ლორდელი.

# აჭარამ გვიღალატა, ქობულეთი იხსენით!

აჭარამ გვიღალატა—გაისმის ეს მწარე სიტყვები და ხალხი, ვინც არ იცნობს აჭარლებს გვესაყვედურება, ნიშს გვიგებს, ვიცოდით აჭარა გვიღალატებდათ. ცდებით, ცდებით. აჭარამ კი არ გვიღალატა, ბეგებმა, ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილ აჭარსკის მეთაურობით უღალატეს აჭარლებს, შეარცხვინეს აჭარა, ძმის სისხლში ხელი დაბანეს. ჯემალ ბეგის მამამ უღალატა ოსმალეთს და აჭარა რუსეთს გენერლობაში მიჰყიდა, მისი შვილი ჯემალი ფაშაობაში ჰყიდის აჭარას.

ხალხი აქ არაფერ შუაშია, ხალხი ბნელია. აჭარაში ჯერ კიდევ არ გათენებულა, იქ კვლავ მე 18 საუკუნეა, ფეოდალი ბეგია ხალხის ბრძანებელი, ხალხი მისი მონაა. ბეგების ამყოლი ალიარებს და ფეშქეშებით მოყიდულ „ჩაუშებს“ (ასისთავი) ხალხი ძალით გამოჰყავს, აჭარლებს აწიოკებენ, ვინც არ გამოდის სახლს უწვენ, ძროხა-ხარს უკლავენ.

ჯემალ ბეგი ჭკვიანია, მან იცის, რომ თუ ჩვენ გავიმარჯვეთ, მაშინ მის ბატონობას ბოლო ელება, ხალხი მას ჩამოშორდება და აი ისიც იკრებს უკანასკნელ ღონეს და თავის თავის სასარგებლოდ ძმას ძმაზე უსევს, აჭარას მოღალატის სახელით აჯილდოებს.

აჭარა და მოღალატე? მოდი მწარეთ ნუ გაგეცინება. აჭარას, როცა ღალატს სწამებდენ და საამისო საბუთებიც ჰქონდათ, მაშინ ჩვენ ეს დავმალეთ, ვპატრონეთ, კაცები სახრჩობელა-დახვრეტისაგან ვიხსენით, ქალები გამხეცებული კაზაკებისაგან დავიფარეთ და დღეს, ის, ვინც გუშინ ძმობას გვეფიცებოდა, თქვენ ხართ ჩვენი მხსნელიო გვეუბნეოდა, დღეს ჩვენს სასიკვდილოთ და ასაოხრებლათ მოდიან. გონს მოდით აჭარლებო, იცანით თქვენი მტერი, თქვენი მტერი თქვენი წინამძღოლია—თქვენი ფაშა ჯემალბეგია. ოდესმე ამას მიხვდებით, მაგრამ გვიან იქნება, თქვენი შვილები წყევლა-კრულვით მოგიხსენიებს.

გვიღალატა აჭარამ, მაგრამ ჯერ ჭკვიანათ არიან ქობულეთლები. ჯემალბეგის აგენტები ქობულეთშიაც დაძვრებოდენ, მაგრამ მათ დაპირებითი პროვოკაციას ქობულეთში ადგილი არ დაურჩა. ქობულეთლებმა გადასწყვიტეს დაიცვან ნეიტრალიტეტი, ეს მათ დაადასტურეს 18 და 19 მარტს კარახტინში და ხუცუბანში მომხდარ მიტინგებზე. პირიქით ახალგაზრდა ქართველები იმასაც კი ამბობენ თუ ბევრი აჭარლები ოსმალებს მიემხრობიან, ერთსაც და მეორესაც თოფით დავხვდებითო. ხუცუბანში მომხდარმა მთელი ქობულეთის მიტინგმა აირჩია მოციქულები და გაგზავნა აჭარლებთან, შეუთვალა: გონს მოდით, ნუ გვარცხვენ, ნურც ჩვენ გვღალატობ და ნურც ქართველებს, თორემ არ დაგინდობთო.

ქობულეთლები გურულებს ნდობით გვეპყრობიან. აირჩიეს კომისია (სამი მაჰმადიანი და სამი ქრისტიანი) და დაავალეს ყოველივე ღონე იღონეთ ჩვენი კარგი მეზობლობა არ დაირღვესო. ქობულეთის მთიანი ადგილებიდან (საცა ჩვენი ბანაკია) უკვე იხიზნებიან, ცოლშვილი მოჰყავთ ჩვენსკენ და ეს იმის თავდებია, რომ მათ ჩვენი ღალატი არ უნდათ. ჩვენი ვალია ქობულეთლები შევიხიზნოთ, ჩვენი ღარიბი ლუკმა გაუნაწილოთ, ჩვენს ჭერს ქვეშ მოვათავსოთ. ქობულეთი გადავარჩინოთ და მერე თვით ქობულეთი შეარცხვენს მოღალატე აჭარას.

ოსმან-ეფენდი.

# გიორგი დოლიძე

15 მარტს ბათუმში მიწას მივაბარეთ ჩვენი საუკეთესო ამხანაგი, ჯარისკაცი გიორგი დოლიძე.

განსვენებული ექვსი წლის ნამსახური იყო. მან ამ ხნის განმავლობაში ყველა გაჭირვება გადაიტანა ამ ომში, მაგრამ თავის მიზნისთვის მას არას დროს არ უღალატნია. ამიერ კავკასიის მთავრობის დეკრეტით ის როგორც 25 წლისაზე მეტი განთავისუფლეს, მაგრამ მაინც დარჩა თავის ადგილზე, რომ დაეცვა სამშობლო და თავისუფლება. ამავე დროს ის ეწერება ადგილობრივ წითელ გვარდიაში, და მის საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებს. თქვენ ყველგან ნახავთ გიორგის, სადაც კი მისი მარჯვენა ესაჭიროება რევოლიუციის განმტკიცებას და თავისუფლების დაცვას.

11 მარტს ძმის უცაბედათ განასროლი ტყვია მას სიცოცხლეს უსპობს, ძმის ხელმა იმსხვერპლა ის, ძმამ წაართვა მას სიცოცხლე, სიცოცხლე ჯერ ნორჩი, სიცოცხლე თავისუფლების მაძებარი. ჩვენ მისი ამხანაგი ჯარისკაცები გულდათუთქულნი ვგლოვობთ და ვსტირით მის ასეთ ტრაღიკულათ და უდროოთ დაკარგვას! სევდით დათალხული გული სტირის და ჰგოდებს ამხანაგო გიორგი, რომ ასეთ საბედისწერო დროს შენი გამოცდილი მარჯვენა ჩამოგვშორდა.

მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო გიორგი!

შენი მეგობრები, შენ არას დროს არ დაგივიწყებენ.

ამხანაგების მონდობილობით
დ. ბაისოშვილი.

# სოხუმის ოლქის გლეხთა მეორე ყრილობა

4 მარტს ქ. სოხუმში გაიხსნა სოხუმის ოლქის გლეხთა მეორე ყრილობა თებერვალში მომხდარ ამბების შემდეგ, როცა მატროსებმა ზღვიდან კინაღამ დაანგრიეს ქალაქი და პროვოკატორების აგიტაციის წყალობით სოხუმის ოლქი ლამის ერთა შორის ბრძოლის ასპარეზათ არ გახდა, ამ ყრილობას ყველა გულის ფანცქალით ელოდა, ბევრს ეშინოდა და ფიქრობდა, რომ ყრილობაზე სხვადასხვა ერთა გლეხებ შორის შუღლი იჩენს თავს და მდგომარეობა გამწვავდებაო, ჩვენ კი სწორეთ ამ ყრილობიდან მოველოდით საქმის მოგვარებას პროვოკატორების „საგმირო“ საქმეების გამოაშკარავებას ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცებას და მით გლეხობის სწორ გზაზე დაყენებას. ყრილობამ ჩვენი მოლოდინი გაამართლა. ყრილობაზე გამოცხადდა სამასამდე დელეგატი. იყვნენ წარმომადგენბი სოხუმის ოლქში მოსახლე ყველა ერების გლეხებიდან: აფხაზები, ქართველები, სომხები, რუსები, ბერძნები, ესტონელები და სხ. საღამოს 8 საათზე აღმ. კომიტეტის თავმჯდომარემ არ. ემუხვარმა გახსნა ყრილობა. უსურვა რა ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა, წინადადება მისცა აერჩიათ პრეზიდიუმი. ყრილობის ბოლშევიკურმა ნაწილმა დაასახელა ნ. ლაკობა, დანარჩენებმა—ამხ. ბ. ჩხიკვიშვილი. თითქმის ერთხმად (წინააღმდეგი იყო მხოლოდ შვიდი ხმა) თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ჩხიკვიშვილი. მის არჩევას ყრილობა ხანგრძლივი ტაშის ცემით შეხვდა. ამხ. ჩხიკვიშვილი: „ნება მიბოძეთ მოგიძღვნათ გულწრფელი მადლობა ჩემი თავმჯდომარეთ არჩევისათვის. საჭიროთ ვსთვლი განვაცხადო იმათ საყურადღებოთ, რომლებმაც ჩემს წინააღმდეგ მისცეს ხმა, ვიჭერ რა თავმჯდომარის ადგილს, რომ მე ამ შემთხვევაში არ ვხელმძღვანელობ ვიწრო პარტიული, ან სხვა რაიმე ინტერესებით, არამედ ერთი აზრით, რომ ყრილობამ გამოიჩინოს უნარი და მუყაითობა და შეძლოს ყველა საჭირბოროტო კითხვების სასურველათ გადაჭრა“. შემდეგ იგი მიესალმება ყრილობას სოხუმის მუშათა დეპუტატთა საბჭოს სახელით. „მუშათა კლასი ყველაზე უფრო დაინტერესებული, რომ გლეხობა სწორი გზით მიდიოდეს რევოლიუციონური ლოზუნგების ცხოვრებაში გასატარებლათ. მუშათა კლასის და გლეხკაცობის ურთიერთ შორის მჭიდრო კავშირი—აი რა არის ნამდვილი თავდები რევოლიუციის გასამარჯვებლათ. განსაკუთრებით საჭიროა ეს დღეს, როცა ქვეყანა განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება. როცა პროვოკატორები ერთაშორის მტრობას და შუღლს სთესენ და სურთ ძმათა შორის სისხლის ღვრა გამოიწვიონ“.

თავმჯდომარის ამხ. არჩეულ იქნენ სოც.-დემ. მენშევიკი არ. ემუხვარი და ბოლშევიკი ლაკობა. მდივნებათ აჯამოვი და დარსამია. ყრილობას დაესწრენ ქართულ ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლები დ. სულიაშვილი და ქ. რაჭველიშვილი და ზუგდიდის გლეხთა დელეგაცია: ბ. კალანდარიშვილი ჯიჯალავა და ბერულავა. ბოლშევიკების სოხუმის ორგანიზაციის სახელით ლაპარაკობს გოგია. იგი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ პროვოკატორებმა შეიტანეს არევ-დარევა ხალხში, ჩამოაგდეს ერთა შორის შუღლი და კინაღამ გადაჰკიდეს ერთი ერის გლეხობა—მეორესას. ჩვენ ბოლშევიკებს ამაში არავითარი დანაშაულობა არ მიგვიძღვის. პირიქით, ყველაზე უფრო, ჩვენ ბოლშევიკები ვცდილობდით შეკრებილიყო ეს ყრილობა. სამწუხაროთ ის ამხ., რომლებიც ასე თავგამოდებით მუშაობდენ ამ საქმეზე, ჩვენთან არ არიან. მათ შესახებ ათასგვარი ცილისწ. და ჭორები ისმის. საჭიროა ამას ბოლო მოეღოს; საჭიროა სოხუმის ამბებს ნათელი მოეფინოს და ჩვენი ამხანაგები უკან იქნას დაბრუნებული. საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. დ. სულიაშვილი. „ქართულ ეროვნული საბჭოს სახელით—იწყებს ორატორი—მივესალმები დღევანდელ კრებას და ვუსურვებ მას მხნე და ენერგიულ მუშაობას დემოკრატიულ პრინციპების განსამტკიცებლათ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოთ. მინდა გაუწყოთ, რომ რა წამსაც ეროვნულმა საბჭომ შეიტყო ის სამწუხარო ამბები, რასაც აქ, სოხუმის ოლქში ჰქონდა ადგილი, მის საზრუნავათ შეიქნა თავის მხრივ მიეღო ზომები, რომ არასასურველ ამბებს არ ჰქონოდა ადგილი. იმ დროს როცა ერთობა და ხალხთა შორის ძმურ კავშირს უფრო მეტი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი, ვიდრე ოდესმე, იმ დროს, როცა რევოლიუცია განსაცდელშია და გარეშე მტერი მას შემუსვრას უქადის, როცა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო ისეთ მომენტს განიცდის, როცა ყოფნა-არყოფნის კითხვაა დასმული,—რომელიმე პროვოკაციულმა გამოსვლამ არ უნდა გადაგვკიდოს ჩვენ ერთმანეთს და ჩვენი ერთობა არ უნდა დაირღვეს. არას დროს რუსეთის რევოლიუცია არ ყოფილა ისეთ განსაცდელში, როგორც დღეს. თქვენ იცით, რომ საერთო რევოლიუციონურ-დემოკრატიული ფრონტი დარღვეულია. ამის გამო არის, რომ ამიერ-კავკასიას ცალკე უხდება მოქმედება, რისთვის მან უკვე დაიარსა სეიმი საკანონმდებლო ფუნქციებით. თქვენ აქ მოგიხდებათ გადაწყვიტოთ ისეთი საკითხები და ისეთ ფარგლებში, რომელსაც ადგილური, განსაკუთრებული ხასიათი აქვს, ამავე დროს იგი უნდა შეზომილი იყოს საერთო კანონებთან, რომელსაც სეიმი დაამტკიცებს. ერთი უმთავრეს კითხვებთაგანი არის ეროვნული კითხვა. ამ კითხვის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი უნდა გადაწყდეს ისე, როგორც საერთოთ ყოველგან. აფხაზეთი იქნება ერთი მთლიანი ერთეული ავტონომია ტერიტორიალურ-ეროვნულ პრინციპზე დამყარებული. ქართული ეროვნული საბჭო სიამოვნებით მიეგებება თავის მოძმეთა ასეთ დასკვნას და ყოველთვის მზათ იქნება ძმური ხელი გაუწოდოს მას. ეხლა, როცა გარეშე მტერი გვექადის განადგურებას და ჩვენი საუკეთესო ადგილების,—ბათომის, ყარსის, არდაგანის—წართმევას, შეერთებულის ძალით უნდა მივიტანოთ იერიში საერთო მტერზე, რომ ჩვენი შინაური კულტურული განვითარება უზრუნველვყოთ. სიამოვნებით მივიტან თფილისში იმ ამბავს, რომ სოხუმის ოლქში მომხდარი ამბები გაუგებრობაზე იყო დამყარებული და ეხლა, გლეხთა კავშირში გაერთიანებული ძალა მზათაა საერთო მტერთან საბრძოლველათ“.

მეტად შინაარსიან და მგრძნობიარე სიტყვას ამბობს ზუგდიდის გლეხთა დელეგაციის წარმომადგენელი **ჯიჯალავა**. „ზუგდიდის მაზრის გლეხკაცობა გულისფანცქალით ელის ჩვენგან ამბავს, თუ რა მოხდა აქა და როგორ მიდის საქმეები. დღესაც დეპეშით შემეკითხნენ. მთხოვენ საჩქაროთ ვაცნობო საქმის ვითარება. ზუგდიდის მაზრის დემოკრატია ფიქრობს, რომ თქვენ სათანადო სიფხიზლეს გამოიჩენთ, არ აჰყვებით ბნელი ძალების პროვოკაციას და სხვა ერებთან ერთად ძმური კავშირით გაეშურებით საერთო საქმისთვის, რევოლიუციის ლოზუნგების ცხოვრებაში გასატარებლათ. ჩვენ თქვენი განუყრელი თანამგზავრი ვართ და ვიქნებით“-ო, დაათავა ორატორმა. ამის შემდეგ ყრილობამ აირჩია 6 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა 15—19 თებერვალს სოხუმში მომხდარი ამბების გამოძიება. ამით პირველი კრება დაიხურა.

5 მარტის კრებაზე რეგლამენტის შემუშავების შემდეგ თავმჯდომარე აქვეყნებს დღის წესრიგს, რომელიც გამოიმუშავა დელეგატთა კერძო თათბირმა: მიმდინარე მომენტი, ადგილობრივი მთავრობის (ადმინისტრ.) შედგენა, მიწის საკითხი, სასურსათო საკითხი, მობილიზაცია და სხ. სულ 14 საკითხი. სოხუმის ყველა სოციალისტური პარტიის სახელით ამხ. ბ. ჩხიკვიშვილი აქვეყნებს დეკლარაციას მიწის საკითხის, მთავრობის შედგენის და აფხაზთა თვითგამორკვევის შესახებ. დეკლარაციაში ნათლათ და გარკვევით არის აღნიშნული, თუ როგორ უნდა იქნას გადაჭრილი თითოეული საკითხი. ამის შემდეგ კამათი იხსნება მიმდინარე მომენტის შესახებ. პირველათ ლაპარაკობს ბოლშევიკების წარმომადგენელი გოგია: „რუსეთის დიდი რევოლიუციის ლოზუნგები იყო—იწყებს ორატორი—პური, მიწა, თავისუფლება და ზავი. მხოლოდ ამ ლოზუნგების ცხოვრებაში განხორციელებას შეეძლო რევოლიუცია გამარჯვებამდე მიეყვანა, შეექმნა ისეთი პირობები, როცა მუშათა კლასს შეეძლებოდა თავისუფლათ განვითარება და გზის გაკაფვა ბრწყინვალე მომავლის—სოციალიზმისაკენ. მაგრამ ვერც ლვოვის ლიბერალურმა, ვერც კოალიციონურმა სამინისტრომ ვერ შეძლო ამ საჭირბოროტო კითხვების სასურველათ გადაჭრა, მათ ვერ მისცეს ხალხს ვერც პური, ვერც მიწა და ვერც თავისუფლება და ზავი. ამიტომაც იყო, რომ მუშათა კლასმა და ღარიბმა გლეხობამ მათ ზურგი შეაქცია. საჭირო იყო მუშებს და გლეხებს თვითონ აეღოთ ხელში საკუთარი ბედის გადაწყვეტა. და მათ შესძლეს კიდეც ეს. ოქტომბრის რევოლიუცია ეს მუშების და გლეხების რევოლიუცია იყო; ეს მათი გამარჯვება იყო კოალიციონურ მთავრობაზე და რევოლიუციის ყველა მტრებზე“.

შემდეგ ეხება რუსეთის დანაწილებას ცალკე რესპუბლიკებათ და ამაში ხედავს ერთ უმთავრეს მიზეზს ბოლშევიკების მთავრობის დამარცხებისას. მისი აზრით საჭიროა რუსეთთან არ იქნას გაწყვეტილი კავშირი. ამასთანავე ის არ იზიარებს არც იმ აზრს, რომ ამიერ-კავკასიას გამოვეყოთ „არა დანაწილებაში, არამედ შეერთებაში არის ხსნაო“.

სოხუმის ყველა სოციალისტური პარტიების (გარდა ბოლშევიკებისა), ლაპარაკობს ამხ. **ჩხიკვიშვილი**, ამხ. გოგიამ სთქვა, რომ რუსეთის რევოლიუციის ლოზუნგები იყო პური, მიწა, თავისუფლება და ზავი. მაგრამ ვერც ერთმა მთავრობამ ვერც ლიბერალურმა და ვერც კოალიციონურმა, რომელშიაც სოციალისტებიც იყვნენ, ვერაფერი მისცა ხალხს. ხალხი მოტყუებული დარჩა და ამიტომ დაჰკარგა იმედი კოალიციონურ მთავრობისათა. მე ვეკითხები ბოლშევიკებს: სახალხო კომისრებმა შეასრულეს თავიანთი დაპირება და მისცეს ხალხს პური? პასუხი აშკარა უნდა იყოს. სწორეთ სახალხო კომისრების ბატონობის დროს დაიმშა ხალხი, სასურსათო საკითხმა საშიში სახე მიიღო და ამგვარათ მუშები და გლეხები მაინც ვერ ეღირსა პურს. რაც შეეხება თავისუფლებას, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ რაც უნდა წინააღმდეგი ვიყოთ კოალიციონურ სამინისტროსი, სწორეთ მაშინ იყო ნამდვილი თავისუფლება, როგორც არც ერთ ქვეყანაში. სახალხო კომისრებმა კი იგი მოსტაცეს ხალხს. მათ ფეხქვეშ გასთელეს თავისუფლება სიტყვის, პრესის, კრების და სხ. ფაქტების ჩამოთვლით არ მოგაწყენთ თავს. თქვენ ალბათ იცით, რომ პეტროგრადში და სხვა ქალაქებში, სადაც ბოლშევიკები ბატონობდენ, ერთ დროს არც ერთი გაზეთი, გარდა ბოლშევიკურისა არ გამოდიოდა. ციხეები პოლიტიკური ტუსაღებით გაივსო, საუკეთესო რევოლიუციონერები, რომლებმაც წლები კატორღაში გაატარეს, არალეგალურათ ცხოვრობენ.

როგორ არის მიწის საკითხი? კოალიციონურმა მთავრობამ ვერ მისცა მიწა გლეხებს. ეხლა კი მიწა მტრის ხელში გადავიდა და ამგვარათ გლეხთა იმედებს საბოლოოთ შეეკვეცა ფრთები. ეს მოხდა სახალხო კომისრების ბატონობის დროს.

ზავი? ვერც ზავის საკითხი გადასჭრეს სახალხო კომისრებმა. რუსეთის რევოლიუციის დიდებული ლოზუნგები: ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აგებული, ბოლშევიკების წყალობით, ჰაერში გამოკიდებული დარჩა. ბოლშევიკები არწმუნებდენ საკმარისია მივმართოთ მეომარ სახელმწიფოებს, წინადადება მივსცეთ ზავის შესახებ და ზავი ჩამოვარდებაო. როგორც ხედავთ, ეს არ დარჩა საკმარისი. საჭირო იყო რეალური ძალა, ძლიერი არმია, რომ გვეკარნახებინა ჩვენი პირობები ზავისა. ბოლშევიკებმა კი სწორეთ ეს ძალა მოსპეს. მათ გააშიშვლეს ფრონტები, დამმობილების და სხვა აგიტაციით ჯარში დემორალიზაციამ იჩინა თავი და შედეგი ის გახლავთ, რომ ძლევამოსილი გერმანიის ჯარი რუსეთის ქალაქებს ქალაქებზე იპყრობს და მით მთელი რუსეთი გერმანიის იმპერიალისტთა მონათ გახდა. ბოლშევიკებმა მოაწერეს ხელი ისეთ ზავს, რომლითაც რუსეთი როგორც ცალკე, დამოუკიდებელი ერთეული აღარ არსებობს; მათ სხვისი თავისუფლებაც გასთელეს. ბრესტის ხელშეკრულობის ძალით ჩვენი მხარის საუკეთესო ადგილები ბათუმი, ყარსი და არდაგანი ოსმალეთს გადაეცა და ამგვარათ რუსეთთან ერთად ჩვენი მხარეც გაყიდული დარჩა. აი ასეთია ბოლშევიკების ხანმოკლე მოღვაწეობა და მათ კიდევ გამბედაობა შესწევთ ბრალი დასდონ კოალიციონურ სამინისტროს მენშევიკებს და სხ.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ბოლშევიკების ტაქტიკამ, მათმა მოქმედებამ რევოლიუცია დაღუპვამდე მიიყვანა და ასეთ დროს ჩვენი რევოლიუციონურ დემოკრატიის ვალი იყო თავისი თავისთვის თვითონ ეზრუნა როცა დამფუძნებელი კრება ბოლშევიკებმა გარეკეს, როცა ჩვენ გაგვყიდეს, თუ ჩვენ თავს თვითონვე არ მოუვლიდით, სხვებთან ერთად ჩვენც დავიღუპებოდით. ამიტომ ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ მოიწვია სეიმი, რომელიც მთელი ამიერ-კავკასიის ხალხთა სურვილების გამომხატველია. დემოკრატია ვალდებულია მას მხარი დაუჭიროს. შეკავშირებული, ერთ ორგანიზაციაში დარაზმული ამიერ-კავკასიის ყველა ერთა დემოკრატია შესძლებს დაიცვას რევოლიუციით მონაპოვარი თავისუფლებანი, ამოუდგეს გვერდში უკვე დამონავებულ რუსეთის დემოკრატიას და მასთან ერთად გაეშუროს წინ, საუკეთესო მომავლისაკენ“... (ხანგრძლივი ტაში). ვ. ქ.

(შემდეგი იქნება)

# რუსეთის ამბები

პეტროგრადში მისულან რამოდენიმე წითელ გვარდიელნი, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ ნარვასთან ბრძოლაში. ერთი მათგანი შემდეგს ამბობს: ჩვენი რაზმი ნარვიდან გაემგზავრა სამგზავრო მატარებლით. ფანჯრებთან დავდგით ტყვიის მფრქვეველები, უკანასკნელ ვაგონებში კი ჯავშნიანი ავტომობილი და სამიოდე ზარბაზანი გვქონდა. სადგურ კაროსთან მატარებელი შევაჩერეთ, რადგანაც გერმანელები უკვე გამოჩნდენ. წითელ გვარდიელებმა დაიკავეს ადგილები და დაამწყვეს ზარბაზნები. გერმანელებმა მალე შეიტყვეს გვარდიელების ბინა და აგვიტეხეს სროლა. რაზმელებს სურდათ სროლითვე ეპასუხათ, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ზარბაზნის ყუმბარები უვარგისები გამოდგნენ, ყუმბარა ზარბაზანში არ ეტეოდა. ზარბაზნები დასტოვეს წითელ გვარდიელებმა და ტყვიისმფრქვეველები და თოფები აამუშავეს. ცოტა ხნის შემდეგ ტყვიები შემოაკლდათ გვარდიელებს. გერმანელები კი არ სცხრე-

ბიდენ, ზარბაზნის ყუმბარა მოხვდა გვარდიელების მატარებლის ორთქმავალს და სულ დაამტვრია. გერმანელები მოვიდენ სადგურ კაროსთან ჯავშნიან მატარებლით და აუტეხეს სროლა გვარდიელებს. გვარდიელებმა უკან დაიხიეს. მოინდომეს ჯავშნიანი ავტომობილი წაეყვანათ, მაგრამ ბენზინის უქონლობის გამო ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს. ამ ბრძოლაში წითელ გვარდიელებს მოუკლეს გერმანელებმა 50 კაცი, ასამდე კაცი დასჭრეს.

**პეტროგრადის კომუნის ორგანიზაცია.** პეტროგრადის საბჭოში „თავისუფალ შრომის კომუნის" პროექტის განხილვის დროს ანარქისტ ბლეხმანმა შეიტანა წინადადება სახალხო კომისრების შემადგენლობა შეეცვალათ ანარქისტ-კომუნისტებით და სინდიკალისტებით ბლეხმანის აზრით ზინოვიევი, როგორც მშიშარა, გარბის კომუნიდან, რადგანაც კომუნა ამ მოკლე ხანში ისეთ ტერორს გააძლიერებს, რომლის წინაშეც პარიზის კომინისტების ტერორი აჩრდილიც არ იქნება.

ზინოვიევმა თავისი ვრცელი სიტყვა ასე დაამთავრა. „რუსეთის რევოლიუციას არ შეუძლია გავლენა არ მოახდინოს მეზობელ ქვეყნებზე. ჩვენ შევქნით მილიონობით სოციალისტურ რაზმებს და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო". ზინოვიევის შემდეგ ლაპარაკობს ლუნაჩარსკი. ის სიხარულს გამოსთქვამს, რომ მას ნება დართეს დარჩეს პეტროგრადში და განახორციელოს ისეთი იდეა „შრომის კომუნისა", რომელიც ისტორიას არ ახსოვს, პეტროგრადის პროლეტარიატი დაიცავს ამ კომუნას და მიიტანს პირნათლად საერთაშორისო „სოციალიზმამდეო".

**გერმანელები ფინლიანდიაში.** ჰელსინგფორსის მუშათა საბჭომ გადასწყვიტა შესწყვიტოს სამოქალაქო ომი, რომელიც შეაჩერებს გერმანელების შემოჭრას ფინლიანდიაში. გადასწყვიტეს წინააღმდეგობა გაუწიონ გერმანელებს, თუ ისინი წამოვლენ ჰელსინგფორსის მიმართულებით. ჰელსინგფორსიდან აბოში გაემგზავრენ სახალხო საბჭოს რწმუნებულნი, რომლებსაც დავალებული აქვთ გამართონ მოლაპარაკება გერმანელების სამხედრო პირებთან. დელეგატები გამოუცხადებენ გერმანელებს, რომ თუ ისინი ჰელსინგფორს ყუმბარებს არ დაუშენენ, თითონ აიყრიან ჰელსინგფორსში იარაღსო. სტოკჰოლმიდან მიღებული ცნობებით ფილიანდიის სრუტეში შემოვიდა გერმანიის ნაღმოსანი „ვესტაფლენი" ორი ტრანსპორტით. როგორც გამოირკვა, აბოს რაიონში გერმანელებმა თავიანთ რაზმები გადმოსხეს. ალანდიის კუნძულზე გერმანელებს ექსი ტრანსპორტით მოუყვანიათ ჯარი, წითელი გვარდიელები წინააღმდეგობას უწევენ, მაგრამ მათ არტილერია არ აქვთ და არც მცოდნე ინსტრუქტორები. როგორც შვეციიდან იტყობინებიან, გერმანელებს ქალ. აბო ხელში ჩაუგდიათ.

## გურიის ამბები

ამ დღეებში გურიის რევოლიუციისა და სამშობლოს დაცვის კომიტეტმა დაადგინა მოაწყოს გურიაში მუშათა რაზმები, რომლებიც დაამუშავებენ ბრძოლის ველზე გასულ მეომართა მიწებს. ასეთი დადგენილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მრავალი ოჯახი დაიცალა მამა აცებისაგან და თუ იმათი ყანები დაუმუშავებელი დარჩა, მომავალ წელში ხალხი კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩავარდება უსიმინდობის მხრივ, ვიდრე დღეს არის. ეს დადგენილება უკვე მოდის სისრულეში, თითქმის ყველა სოფლებში აირჩიეს ამ საქმის ხელმძღვანელი კომისიები, მოაწყვეს მუშათა რაზმები და ადრე შეუდგებიან უპატრონოთ დარჩენილ მიწების დამუშავებას.

— შიმშილობამ ძლიერ ფართო ხასიათი მიიღო. იმ თავიდანვე გამორკვეულია, რომ მთელი გურია, გარდა უმნიშვნელო ნაწილისა, დამშეულია. საჭიროა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ცენტრალურ ორგანიზაციების მიერ ზომები, რათა გურიას რამდენიმე თვით გამოსაკვები სიმინდი მაინც დაუყონებლივ მოაწოდონ.

— აღმოსავლეთ გურიაში, ერკეთის საზოგადოებაში არის ერთი სოფელი — ზოტი, რომელიც გაშენებულია აჭარის მთის კალთებზე. ამ სოფელში სცხოვრობს 85 მდე კომლი აჭარიდან გადმოსული ქართველი მაჰმადიანი. ამ დღეებში ამათ მოსვლიათ აჭარიდან ჯამალ ბეგ ხიმშიაშვილისაგან შიკრიკი და უთხოვია, რომ მათ შეერთებოდენ. ამათ ჯერ ჯერობით ვერ მიუციათ გადაჭრილი პასუხი შიკრიკისათვის, ისე კი გურულებისაგან განკერძოებულად სცხოვრობენ, წინანდელი მეზობლობა შეუწყვეტიათ, გარდა ორი-სამი შეგნებული პირისა და თვალი აჭარისაკენ უჭირავთ. იარაღი მათ არ აბარიათ, გარდა 5—7 შიროდანის თოფისა. ამ სოფლიდან აჭარაში გადასვლა მთით შეიძლება 7—8 საათის განმავლობაში, არის გზები, მაგრამ ჯერ მგზავრობა ძნელია აჭარის მთაზე დიდი თოვლის გამო. ეს ადგილი და აგრეთვე სხვა ა(ი)ეთი აჭარიდან გადმოსავალი გზები, როგორიცაა:—სურებში, ზოტი ყელში, ასკანაში, ვაკიჯვარში, გომში, გოგიეთში და ლიხაურში—გურიის სამხედრო შტაბმა გაამაგრა ადგილობრივი გვარდიის საშუალებით.

— თავდაცვის კომიტეტის დადგენილების თანახმად გურიის ყველა სოფლებში ხდება შენიშნულ პირთა, უმთავრესად ჯარისკაცთა ოჯახებში ხდება ჩხრეკა. ჩხრეკას ახდენენ საზოგადოებაში არსებული თავდაცვის სამხედრო კომისიები წითელი გვარდიისა და საგანგებო რაზმების საშვალებით. ეძებენ უმთავრესად ჯარისკაცის შინელებს, ჩექმებსა და სხვა საჭირო სამხედრო სახაზინო ნივთებს. ბევრ ალაგას აღმოაჩინეს დატაცებული ასეთი ნივთები. ართმევენ აგრეთვე იარაღს ყოფილ ჯარისკაცებს. სავალდებულო დადგენილების თანახმად, ყველანი ვინც გვარდიაში არ ირიცხება, ვალდებული იყო 3 დღის განმავლობაში ჩაებარებიათ იარაღი თავდაცვის კომიტეტებში. ბევრი ასეც მოიქცა. მაგრამ ზოგიერთი მობალშევიკო ჯარისკაცები გაჯიუტდენ და იძულებული გახდეს რევოლიუციონური ორგანიზაციები შეიარაღებული ძალის საშვალებით ჩამოერთმია მათთვის იარაღი. ამგვარათ თითქმის არც ერთი თოფი აღარ არის კერძო უპასუხისმგებლო პირის ხელში დღესა, რამაც სრული შინაური წესრიგი დაამყარა გურიაში.

— გურიის თავდაცვის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ქალებს, რომ მათაც მიიღონ მხურვალე მონაწილეობა თავდაცვის საქმეში, შეადგინონ ჯგუფები და დაეხმარონ სახლში დარჩენილ მამაკაცებს ყანების დამუშავებაში, შეაგროვონ საჩუქრები ჯარისკაცთათვის და სხვა. შესდგა ქალთა კომისიები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჯარისკაცთათვის საჩუქრებისა და ფულის შეკრების საქმეს.

ხუსეინ.

## ჯარისკაცთა წერილები

«ამხანაგებო! ყოველივე იმის შემდეგ, რაც არა ერთხელ აღბეჭდილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, ჩემი ლაპარაკი ზედმეტად ჩაითვლება და ვერც იქნება ისეთი მჭერ-მეტყველობით გამსჭვალული როგორიც სიტყვები სხვა ორატორებისა. მაგრამ მე მაინც მინდა ვსთქვა ის, რაც გულში მომგროვებია, რომლის შეკავებაც ვერ მომიხერხებია, მინდა გზა მივსცე და შეიძლება ამის შემდეგ მაინც ცოტაც არის თავისუფლათ ამოვისუნთქო. ამხანაგებო, ამ სიტყვებს ლაპარაკობს ძველი სალდათი. სალდათი სამ ფრონტზე ნამყოფი, სამჯერ დაჭრილი, აუარებელ ტანჯვა გამოვლილი და აუარებელჯერ სიკვდილის პირის-პირ მდგარი. დიახ, აუწერელია ის ტანჯვა, რომელიც ჩვენ გამოგვივლია—რამდენიმე წლის პოზიციებზე ყოფნით. მაგრამ ეხლა ვეკითხები ჩემს თავს: რა გავაკეთე, რისთვის ვიტანჯებოდი, ვისი ინტერესებისათვის ვსწირავდი თავს და ვაძლევ ჩემს თავს მხოლოდ ერთ პასუხს: მე გავაკეთე „არაფერი", დიახ არაფერი, რადგანაც ყოველივე ეს იყო ძველი გარყვნილი მთავრობის დროს და ვიცავდი მის ინტერესებს. მაშინ ჩვენ მივვერეკებოდენ სასიკვდილოთ ხმის ამოუღებლათ, ბევრს ჩვენგანს ესმოდა ეს, მაგრამ სასტიკი გარყვნილი დისციპლინა ნებას არ გვაძლევდა კრინტი დაგვეძრა, დღეს კი როლები შეიცვალა—გუშინდელი მონა სალდათი, თავ-აღებული ამაყათ დადის იმ აზრით, რომ ისიც იმისთანავე სრულ უფლებიანი ადამიანია, როგორიც მისი სისხლმწოველი. დისციპლინის ბორკილები დაიმსხვრა, მონამ თავისუფლათ ამოისუნთქა, მაგრამ ფრთხილათ, ყურმახვილათ, ბორკილების მჭედელნი ჯერ კიდევ მრავლათ არიან, ისინი ცდილობენ, რომ უფრო მაგარი, მძიმე ბორკილები გამოსჭედონ ჩვენ ხელფეხის შესაბორკათ. თქვენ კარგათ იცით, თუ ვინ არიან ეს შინაური მჭედლები, მე მხოლოდ გარეშეზე მოგახსენებთ. ეს გარეშე გახლავთ ოსმალო თავის ფაშა-ბეგებით, რომელნიც რუსეთის გამყიდველების წყალობით ჩვენ გვდევენ და იმუქრებიან ამიერ-კავკასიის შუა გულში შემოჭრას. და მერე რა მოყვება ამას?

მე არ ვიტყვი არც პოლიტიკურ და არც ეკონომიურ მონობაზე, არა, ესენი უფრო მაღალ გონიერ ხალხთა ფიქრს შეადგენს.

ბევრი თქვენგანი დამეთანხმება, რომ ჩვენი ჯარის მტრის ქვეყანაში შეჭრის დროს ბევრი ყოფილა გამხეცებული რუსის სალდათი და საუბედუროთ, მათ რიცხვში, ჩვენიც, რომლებსაც ბევრი სისაზიზღრე ჩაუდენიათ: რამდენ ძუძუ მწოვარა ბავშვი ხიშტზე წამოგებულა, რამდენი უმანკო ქალი გაუპატიურებულა; საუბედუროთ ჩემდა, ჩემს უნებურათ მე თვალ-ცრემლიანი ამნაირ მაგალითების მოწმეთ ბევრჯელ ვყოფილვარ და თქვენ გგონიათ ყველა ესენი დაავიწყდა ოსმალოს? როგორ გგონიათ, ოსმალოს ჯარში იქნებიან ისინი, ვისი ცოლშვილნი მის თვალ წინ მოკლულნი ან გაუპატიურებულნი იყვნენ? მე ვიტყვი, რომ იქნებიან და ვაი მაშინ ჩვენ. გამარჯვებული მტერი მხეცზე უარესია.

ვერავინ, ვერავინ ამიერ-კავკასიის შვილი ამას ვერ აიტანს და განსაკუთრებით ქართველი სიამაყე. მაშ, წინ ამხანაგებო, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, განურჩევლათ ეროვნებისა პარტიულ მიმართულებისა ერთათ იქ, საზღვარზე შევებრძოლოთ მტერს ჩვენის პატიოსნების, თავმოყვარეობის, ჩვენი სათაყვანებელი რევოლიუციის დასაცველათ, რადგანაც ოსმალთა ფაშების გამარჯვება მას დასამარებას უქადის და თუ გამარჯვება ვერ ვაჩვენეთ, სიკვდილი მაინც გმირული დავანახოთ. მკვდრისთვის სირცხვილი აღარ არსებობს. ამხანაგებო მოგიწოდებთ თქვენ როგორც ძველი სალდათი რომელსაც მარჯვენა ხელი დამსხვრეული აქვს მტრის ტყვიით, მაგრამ რომელიც პირველი წამოავლებს ხელს თოფს და შესძახებს: წინ სამშობლოს და თავისუფლების დასაცავათ და ზიზღი ამიერ-კავკასიის იმ შვილს, რომელმაც არჩიოს ასეთ დროს სახლში დარჩენა, ზიზღი მას, ვინც არ მიატოვოს ყველაფერი და არ გასწიოს იქ, ნესტიან თხრილებში და პირზე ღიმილით არ შეხვდეს სიკვდილს.

ფელდფებელი სილოვანი.

## მოწოდება

**მოქალაქენო! დაეხმარეთ გადამწვარ სოფელს.**

ამ საზარელ დროს, როცა გარეშე და შინაური მტერი ამდგარია, როდესაც სიმშილის საშინელება თავს დასტრიალებს როგორც სოფელს, ისე ქალაქს, აი ამ დროს მეჯვრისხევის რაიონის სოფ. ფლავისმანის გაძვალ ტყავებულ გლეხკაცობას ევლინება მეორე უბედურება: ულმობელი ცეცხლი ანადგურებს ჭირვარამით შეძენილ გლეხ-კაცობის ქონებას. 9 ამ თვეს დილის 12 საათზე მოიცვა სოფელი ცეცხლის ალმა. კალმით აუწერელია ის საზარელი სურათი, რის მოწამეც ვიყავით, ნახევრად შიშველი ბავშვების ვაება და გოდება, დედაკაცების მოთქმა-ტირილი და მთელი იქ მყოფი საზოგადოების სასოწარკვეთილება წარმოადგენდა ჯოჯოხეთურს სურათს. ეძებდენ შველას, მაგრამ არსაით შველა, არსად გამოძახილი და ყოველივე ამას ხელს უწყობდა თითქოს განზრახ გლეხკაცობისათვის გასანადგურებლად ულმობელი გრიგალი, რომელსაც გადაჰქონდა ცეცხლი ერთი სახლიდან მეორეზე და რამოდენიმე საათის განმავლობაში ნაცრად აქცია ოცდა თორმეტი კომლი. მოქალაქენო! მოგიწოდებთ, გადამწვარი გლეხ-კაცობის დასახმარებლად, დახმარება მიიღება შემდეგი მისამართით: გორი—მეჯვრისხევი, სარაიონო გლეხთა საბჭოს.

ვთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

**მეჯვრისხევის სარაიონო გლეხთა საბჭო.**

## პროვინცია

**ლაგოდეხი.** მტრებს სისხლი სწყურიათ. ყოველ ხერხს მიმართეს, რომ ძმათა შორის სისხლი დაიღვაროს. რამდენი დღეა პროვოკაციული ხმები მწვავე ხასიათს იღებს და მშვიდ, დღემდის კეთილ განწყობილებაში მყოფ ქართველებს და ლეკებს საფრთხეს უმზადებს. ძარცვა-გლეჯა ხომ ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა, რომელიც დიდათ უწყობს ხელს პროვოკაციის გაღრმავებას. 4 მარტს 20 კაცისაგან შემდგარმა ბრბომ წნორიდან ლაგოდეხის გზაზე გაძარცვა 100 კაცი განურჩევლად ეროვნებისა. ბრბო თავისუფლათ დათარეშობს და მოქმედებს. 4 მარტს, ეტლით მოვდიოდით ლაგოდეხში, ალაზნის ხიდს ნახევარი ვერსის მოცილებით იყვნენ მხარ თეძოზე წამოწოლილი შეიარაღებულნი, ზოგიც გზაზე დასეირნობდენ. ჩვენ ტყის და გზის მცველები გვეგონა. მართლაც, მათ ჩვენთვის არ გაუციათ ხმა და გადავრჩით ხიფათს. გავიარეთ თუ არა ერთი ვერსი, გზაზე შევხვდა 20-დე მთლათ შიშველი ხალხი, გაძარცვულები, მეორე დღეს ადგილობრივი მცხოვრებლები და ჯარისკაცები გაეშურენ ბრბოს მოსანახათ, შემოარტყეს ალყა იმ ტყეს, სადაც იგინი ბინაობდენ და ზოგი მათგანი დახოცეს კიდეც, ოთხი მოიყვანეს დაჭერილები. ბრბოს ნაწილი დაეჭირათ მაჩხაანელებს. როგორც გამოირკვა, ბრბოში ერთ თათარს გარდა ქართველები იყვნენ და მოკლულებიც ქართველები აღმოჩნდენ. პროვოკატორებმა დაატრიალეს გესლიანი ენები; კობახო-ბელექანში (ლეკების სოფლებია) ხმა გაუვრცელებიათ: ქართველებმა და სომხებმა ოთხი უდანაშაულო მუსულმანი მოკლეს და ხუთიც ტყვეთ წაუყვანიათო.

მოვიდა ბელაქნის რაიონის კომისარი საქმის გამოსაძიებლათ და რა ტყუილი გამოდგა ხმები, დაბრუნდა. ლაგოდეხში გაავრცელეს ხმა: ლეკები შეიარაღებულან და მოდიან, „სასალდათო" სომხებს არ უშვებენ და ეუბნებიან: ოსმალეთთან რა გინდათ, ჩვენ აგერ ვართ და გვეომეთო. რასაკვირველია, ეს პროვოკაციაა. ჩვენ მას ანგარიშს ვუწევთ იმდენათ, რამდენათაც ბნელ მასაში მას გასავალი აქვს.

9 მარტს ლაგოდეხის გარნიზონის უფროსის ნ. ნადირაშვილის ინიციატივით მოხდა შეერთებული კრება არსებულ პოლიტიკურ პარტიების და სარევოლიუციო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა. დღის წესრიგში დაისვა შემდეგი კითხვები: ლაგოდეხის რაიონში სამხედრო სარევოლიუციო ტრიბუნალის დაარსება და დანაშაულობის განხილვა და ოთხი დაჭერილი მძარცველების წინააღმდეგ ზომების მიღება. პირველი საკითხის შესახებ იმართება კამათი. მ. ახმეტელაშვილი წინააღმდეგია რაიონებში სამხედრო სარევოლიუციო ტრიბუნალის დაარსების. ის ამბობს: ტრიბუნალი იქნება სამაზრო, სადაც ძალაც მაგარია. აქ ტრიბუნალის დაარსებას შეიძლება მის წევრთა დევნა მოჰყვეს და ძალა შეგვისუსტოს. ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც. კენჭის ყრის დროს ხმის უმეტესობით გავიდა—დაარსდეს ლაგოდეხში სარაიონო სარევ. ტრიბუნალი. ტრიბუნალის შემადგენლობაში უნდა შევიდეს მხოლოდ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები: სარაიონო გლეხთა საბჭოდან 6 წარმომადგენელი, ლაგოდეხის გლ. საბჭოდან 2, რ. ს.-დ. მ. პ. 2, ს. ფ. პ. 2, დაშნაკცუტიუნის პარტიიდან 2, ნაციონალურ საბჭოებიდან ორ-ორი, ლაგოდეხის გარნიზონიდან 2, ლაგოდეხის აღმ. კომიტ. 2,—სულ 24 კაცი. ტრიბუნალი არსდება დ. ლაგოდეხში. შემოვიდა განცხადება კადეტებისა, დაეშვათ ტრიბუნალის შემადგენლობაში კადეტების წარმომადგენლებიც. სხდომამ არ მიიღო მათი წინადადება, ვინაიდან ტრიბუნალი უნდა იდგეს სოციალისტურ თვალთსაზრისზე. მეორე საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა: ვინაიდან ნაწილი აქ დაჭერილი ავაზაკებისა დაჭერილია მაჩხაანის რაიონში, რომ საქმის გარჩევას უფრო ნათელი მსვლელობა მიეცეს, უნდა გაირჩეს ერთ ადგილას, ამისთვის შეპყრობილი ავაზაკები გაიგზავნოს სიღნაღის სამაზრო კომისარიატში საქმის გამოსარკვევათ და დასასჯელათ.

გ. ჩიკვაიძე.

---

**სოფ. მარტყოფი.** აქაურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ამ ორიოდე თვის წინ ამოირჩიეს ძველი რეჟიმის დროს სოფლის ნაცვლად ნამყოფი გარსო შინჯიკაშვილი, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო გაწვეული. როცა მისმა დამქაშებმა წამოაყენეს მისი კანდიდატურა, გლეხებს ეგონათ, რომ დაივიწყებდა ის ძველებურ თავის საქციელს, მაგრამ, სამწუხაროთ, მარტყოფელები ძალიან მოსტყუვდენ. თუ ძველი აღმასრულებელი კომიტეტი სასტიკად უკრძალავდა დუქნებში ღვინო—არყის გაყიდვას, ეხლა ნება მისცა სამიკიტნოებს თავისუფალი ვაჭრობისა, რასაც მოყვა ლოთობა, ღრიანცელი და ხშირად თავპირის მტვრევაც. ეს კიდევ არაფერია, თვითონ კომიტეტის თავმჯდომარეც ხშირად ჩაითვრება ხოლმე დუქანში, რასაკვირველია, სხვისი ჯიბის შემწეობით. ამ პატიოსან საქმეში თავის მეგობრებსაც ავარჯიშებს.

კრებაზე გ. შინჯიკაშვილი ხშირად ღვინით გალეშილი გამოდის და ხალხს ყვირილით და ლანძღვა-გინებით უმასპინძლდება. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლიანთ ამისთანა ადამიანებს.

საჭიროა, რაც შეიძლება მალე ჩამოიშოროს ხალხმა ამნაირი ხელმძღვანელები. გ. შინჯიკაშვილმა და მისმა მეგობრებმა იგრძნეს, რომ მათ ბატონობას ნიადაგი ეცლება და უკვე შეუდგნენ მომხრეების შეძენას.

მარტყოფელი სალდათი.

---

**ჩაქვის** განაპირა მცხოვრებნი შეუგნებელი თათრების ალვირ-წახსნილმა ელემენტებმა აამხედრა ჩაქვში ჩამოსახლებულთა წინააღმდეგ, და მის არე მარეში ბნელი ძალები თარეშობენ; მშვიდობიან მცხოვრებლებს მოსვენებას არ აძლევენ. ჩაქვის მახლობელი კუთხეები ბაღებითაა გაშენებული და შავი ზღვის პირს გადაჰყურებს. აქ ბევრი შეძლებული პირები ცხოვრობენ. აქვთ შეძენილი მიწები საუცხოვოთ გაშენებული ბაღებით. აქ ადგილობრივი მცხოვრები თათრები მშვიდობიან ხალხს დარბევით ემუქრებოდენ. პირველათ გაძარცვეს მომუშავე ქართველნი, წაართვეს ულუფათ ხარები და ცხენი და სხვა. შემდეგ სხვებსაც მიჰყვეს ხელი და ნაძარცვს საქონელს აშკარათ ეზიდებოდენ თავიანთ სოფლებში. ერთ ღამეს ციხის ძირზე მყოფი სამი მილიციონერი საფარში ჩაუჯდა და თავ გამოდებით დაუწყო სროლა. მძარცველები იძულებული შეიქნენ ნაძარცვი საქონელი მიეტოვებიათ და გაქცეულიყვნენ. ჩაქვში შეძლებული პირები იძულებული შეიქნენ დამცველებათ მილიციონერები დაექირავებიათ. ამ დაქირავებულმა მცველებმა როგორც იყო გავლენა იქონია და თავისუფალ თარეშს ფრთები შეკვეცა.

ვინც ასეთებს ახდენდა თათრებში ეს პირები მივიდენ ზოგიერთ შეძლებულ პირებთან და უთხრეს: „ჩვენ თოფს თუ გვიშოვით და ჯამაგირს მოგვცემ, ჩვენ დაგიცავთო". შეშინებული მცხოვრებლები იძულებული შეიქნენ ეს შეესრულებიათ და ჯამაგირიც ეძლიათ. ეხლა ჩაქვის არე-მარეს დაქირავებული მცველები იარაღით იცავენ. 11 მარტს, ღამით დაეცენ გასაძარცვავათ გალიცინს, მაგრამ შეიარაღებულმა მცველებმა დროზე შეუტიეს და ასტყდა თოფების სროლა. მძარცველებმა შეტევას ვერაფერს გაუხდენიათ და თავს უშველეს.

ივაკი გიორგაძე.

## ცნობები

**ჯარის-კაცთა შესახებ.**

კავკასიის პირველ საპიორთა ბატალიონში მსახურებდა გერმანიის ფრონტიდან გადმოყვანილი ჯარისკაცი ისიდორე იოსების ძე ცნობილაძე; 29—30 დეკემბერს 1916 წ. ჩემთან ყარაურგანში მოვიდა ერთი მეფურგონე და მითხრა, რომ თქვენი დის შვილი ცნობილაძე მე ჩამოვიყვანე ერძნჯნიდან და დავტოვე აქედან 35 ვერსზე. ის იყო ნაბადში გახვეული და როგორც ეტყობოდა, ვიღაც მალულათ უნდა მინავლიყოს, ამის შემდეგ ჩვენ მივიღეთ წერილი, რომ ისიდორე ცნობილაძემ ერძნჯნაში 6 იანვარს 1917 წ. თავი მოიკლა საღამოს 6 საათზედა. ვთხოვ ყველას, ვინც რამე იცის ისიდორე იოსების ძე ცნობილაძის შესახებ, დაუყონებლივ მაცნობოს შემდეგი მისამართით: ქუთაისი, საკრებულოს მოედანი ვლ. ცნობილაძეს, თ. ლორიასთვის.

პატივისცემით თომა ლორია.

— ერთი წელიწადი გადის მას შემდეგ, რაც ივანე (ვანო) არჩილის ძე ღლონტის მშობლებს არავითარი ცნობა მის შესახებ არ მიუღიათ; ის იმყოფებოდა ქალაქ ირკუტსკის საკატორღო ციხეში. ვთხოვთ თუ ვინმემ მის შესახებ რაიმე იცის, გვაცნობოს შემდეგი მისამართით: ოზურგეთი, მელექედურის მომხმარებელი საზოგადოება, ჯამულეთ ღლონტი.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

### სამკურნალო

ექიმ. ე. მ. მჭედლიშვილის და ლ. მ. ნაზარეთიანცის

ყოველგვარ ავათმყოფთათვის

სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით

მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ღარიბები უფასოთ კვირაობით, ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., 10—12-მდე.

(24—4)

### ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს სიდოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; ავიაცევის ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. საანბანეები, ტელეფონი № 5—77.

ექიმი

### ნ. ი. მახვილაძე

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. და საღ. 4—6 საათზე. ადრესი: მოსკოვის ქუჩა № 11.

### ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნაშ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზეინის ქუჩა, № 19.

ექიმი

### დ. ი. ჟორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გურის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—87.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

### ვ. გ. მეგრაბიანცისა

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და პლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანნები, პნევმოტორაქსი, დარსონვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

### კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

ექიმი

### ვ. ვ. კლდიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დილის 1—2 საათამდე.

ექიმი

### გ. დონხინი

უდიდოს იასხინენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი

### დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

### ექიმი ვ. ი. ვეარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ჯუნიცევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვენეციის გვერდით. ტელ. 15—00.

### ექიმი ნ. ლ. ცერიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

იღებს ყოველ-დღე შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოთი დასნეულებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ბინა № 5.

### მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის

ყოველ დღიურ გაზეთ

# „ერთობა"-ზე

### ხელის მოწერის პირობები:

| | |
|---|---|
| 1 თვით — 4 მან. 50 კ. | 6 თვით — 27 მანეთი |
| 2 თვით — 9 მანეთი. | 1 წლით — 50 მანეთი |
| 3 თვით — 13 მ. 50 კ. | ცალკე № უველგან 20 კ. |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში შეიძლება დარჩება,

შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".

ამხ. და თანამშრომლებთ მსთხოვთ ხელის მოწერას ხელი შეუწყონ.